

ანსელე კენტარბერიელი

ჭეშმარიტებისათვის

ლათინურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო

ნ ი ნ ო ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე მ

ტექსტის რედაქცია და შესავალი წერილი

გ. თევზაძისა და ა. ურუშაძისა



გამომცემლობა
Carpe diem

თბილისი 2012

წიგნში წარმოდგენილია შუა საუკუნეების ფილოსოფიური მიმდინარეობის ე.წ. „რეალიზმის“ ცნობილი მეთაურის, ანსელმ კენტერბერიელის (1033-1109) დიალოგის – „ჭეშმარიტებისათვის“ ქართული თარგმანი. ეს დიალოგი სქოლასტიკური ფილოსოფიის თვალსაჩინო ძეგლია, რომელშიც, არისტოტელეს მოძღვრებაზე დაყრდნობით, მოცემულია ცდა ჭეშმარიტების პრობლემის გადაწყვეტისა თეოლოგიური პოზიციებიდან. წიგნი განკუთვნილია ფილოსოფოსებისა და ფილოსოფიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

© ქართული თარგმანი – ნინო ჭავჭავაძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1983

© გამომცემლობა Carpe diem, 2012

ISBN 978-9941-0-4166-2

შესავალი

შუა საუკუნეების ფილოსოფია /V-XV სს/ კაცობრიობის კულტურის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე რთული და საინტერესო საგანია. ყველაფერი, რაც ამ ეპოქაში კეთდებოდა არსებობის უფლების მოსაპოვებლად, გაბატონებული რელიგიის საფუძვლებს უნდა შეთანხმებოდა. რასაკვირველია, საპირისპირო შეხედულებანი ერთნაირად არ ეგუებოდნენ გაბატონებული რელიგიის არსებას და რელიგიის შესწავლას კარგად ხელაძლენ ამას, მაგრამ საღმრთო წიგნებში და ხელშეუხებელ ავტორიტეტებთან, როგორც წესი, ხერხდებოდა თვით უკიდურესი ოპოზიციისათვის გამოსადეგი მოსაზრების მონახვა. ამ ჩარჩოებში ხდებოდა შუა საუკუნეებში ანტიკურობიდან მიღებული მემკვიდრეობის ათვისება და განვითარება.

ანტიკური ფილოსოფიის პრობლემატიკის შუა-საუკუნეობრივი ტრანსფორმაციის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია უნივერსალების პრობლემის ისტორია. ნეოპლატონიკოსი პორფირიუსი არისტოტელეს „კატეგორიების“ თაობაზე დაწერილ შესავალში შეეხო მისი დროის ფილოსოფიისათვის საჭირობოროტო საკითხს – უზოგადესი ცნებების თაობაზე პლატონისა და არისტოტელეს შეხედულებათა სხვაობას. პორფირიუსი ჩვეული სიცხადით აყალიბებდა პრობლემას და საკუთარ პოზიციასაც: „რაც შეეხება გვარსა /genera/ და სახეს /species/, მე პასუხს არ გავცემ საკითხებს იმის თაობაზე, ისინი სუბსტანციურად არსებობენ /subsistieren/, თუ მხოლოდ ინტელექტში, და თუ სუბსტანციურად არსებობენ, სხეულებრივნი არიან თუ არა, ასევე იმას, გათიშული არიან ისინი გრძნობადი საგნებისაგან, თუ მხოლოდ მათში არსებობენ. ეს ძალიან ღიდი საკითხებია და ღრმა კვლევას მოითხოვენ“ /4, გვ. 162/.

არისტოტელეს „კატეგორიები“, პორფირიუსის

შესავალთან ერთად, დასავლეთის აზროვნებისათვის ლათინურად თარგმნა ბოეციუსმა, ხოლო აღმოსავლეთისათვის სირიულად — სერგი რეშაინელმა. ისევე როგორც ყოველი სხვა საკითხი, უნივერსალიების საკითხიც შუა საუკუნეების ფილოსოფიაში ღმერთთან მიმართებაში იქნა გააზრებული. მოაზროვნებმა, რომლებიც პლატონის ფილოსოფიის გავლენას განიცდიდნენ და რომელთაც რეალისტები ეწოდათ, უზოგადესი ცნებები — უნივერსალიები გრძნობად სინამდვილეზე ადრე, ღმერთის გონებაში არსებულად გამოაცხადეს. ნომინალისტები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ საერთოდ ზოგადი არც ერთეულ საგნებამდე არსებობს, არც ერთეულ, გრძნობად საგნებში და არც ადამიანის აზროვნებაში. ღმერთს არ სჭირდება მოდელები საგანთა შესაქმნელად. ზოგადი მხოლოდ სახელია საგნების /nomina rebus/, ზომიერი ნომინალისტები /კონცეპტუალისტები/ მხოლოდ აზროვნებაში უშვებდნენ ზოგადის არსებობას, ზომიერი რეალისტები კი ზოგადის არსებობას უშვებდნენ საგნებშიც, როგორც ღმერთის გონებაში არსებულის განხორციელებას, რაც, თავის მხრივ, ადამიანის ცნობიერებაში იქნება ასახული. ნომინალისტების და რეალისტების ერთი შეხედვით უნაყოფო თეოლოგიურ კამათს ხშირად ღრმა მეცნიერული და მსოფლმხედველური შინაარსი ჰქონდა.

დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა შუა საუკუნეები მხოლოდ წყვეტად ითვლებოდა ფილოსოფიის და საერთოდ კულტურის ისტორიაში. „სქოლასტიკოსი დუნს სკოტი, — წერდა მარქსი, — თვით თეოლოგიას აიძულებდა ექადაგა მატერიალიზმი /1, გვ. 8/. გარკვეული ცვლილებებით იგივე შეიძლება ითქვას შუა საუკუნეების სხვა ნომინალისტებზე, ასევე შუა საუკუნეების პანთეისტური ერესის ზოგიერთ წარმომადგენელზე /მაგ. დავით ღინანტზე/. შუა საუკუნეების ფილოსოფიამ წამოაყენა ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა საწყისის /ღმერთის/ შინაგანი

სტრუქტურის საკითხი, აქტუალური უსასრულობის პრობლემა, კონკრეტული პიროვნების პასუხისმგებლობა და მისი განუმეორებლობის საკითხი /2, გვ. 60/, პანთეიზმის და თეიმეიზიზმის საკითხები, ცოდნისა და რწმენის მიმართების საკითხი და სხვ. შუა საუკუნეებში ხელახლა შეიქმნა აკადემიები, წარმოიშვა უნივერსიტეტები და ნიადაგი მომზადდა აღორძინების ეპოქის დიადი კულტურისათვის.

ანსელმ კენტერბერელი /1033-1109/, რომელსაც ლ. ფოიერბახი „ერთ-ერთ უდიდეს ქრისტიან მოაზროვნედ“ თვლიდა /3, გვ. 233/, სქოლასტიკის განვითარების პირველი პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელია, მას სქოლასტიკის „მეორე მამას“ უწოდებენ, პირველად ითვლება „სქოლასტიკური ფილოსოფიის კარლოს დიდი“ – იოანე სკოტ ერიუგენა /4, გვ. 163/. ანსელმის სახელთანაა დაკავშირებული იმ დებულებათა ლოგიკური დასაბუთების ცდა, რომელთაც ტერტულიანე ლოგიკური აზროვნების თვალსაზრისით აბსურდად მიიჩნევდა და აქედან ცოდნის ღირებულებას უარყოფდა. ანსელმი გამორიცხავს ამგვარ დაპირისპირებას, თუმცა, ცოდნისათვის მიუწვდომელის არსებობა უდავოდ მიაჩნია. იგი გონებას ავალებს რელიგიური დოგმები დაასაბუთოს /ღმერთის არსებობის, სამების, ქრისტეს განკაცების შესახებ /5, გვ. 428/. ანსელმის მიერ წამოყენებული ღმერთის არსებობის ე.წ. ონტოლოგიური დასაბუთება იდეალიზმისა და რელიგიისათვის ისეთ არსებით მომენტს შეიცავს (აზრისა და არსის იდენტობას), რომ მას მუდამ ჰყავდა და დღესაც ჰყავს მომხრენი (6, გვ. 130, 7, გვ. 434), თუმცა ანსელმისეული დასაბუთება არაერთხელ იქნა სამართლიანად გაკრიტიკებული თვით იდეალისტების მიერ (გაუნილო, თომა აქვინელი, ლაიბნიცი, კანტი).

ანსელმ კენტენბერელი, თანამედროვეთა მიერ „მეორე ავგუსტინედ“ წოდებული, დაიბადა პიემონტის ქალაქ აოსტაში, წარმოშობით ლომბარდიელი

აზნაურის ოჯახში. დედის გავლენით ბავშვს ადრე გაუჩნდა მიდრეკილება სამონასტრო ცხოვრებისადმი. ახალგაზრდა ანსელმი, წინააღმდეგ მამის სურვილისა, ტოვებს სახლს და რამდენიმე წელი მოხეტიალე ბერის ცხოვრებას ეწევა. 1060 წ. ანსელმი ნორმანდიაში იმხანად დაარსებულ მონასტერში შედის და თავის თანამემამულე ლანფრანკს დაემოწაფება (8, გვ. 33), საბი წლის შემდეგ ანსელმი ამავე მონასტრის პრიორი და სამონასტრო სკოლის ხელმძღვანელია. მან მალე შექმნა რწმენისა და გონების თანხმობის საფუძველზე ფილოსოფიური კვლევა-ძიების ატმოსფერო. ამგვარი განწყობა, ცხადია, გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ლანფრანკი კენტერბერიის ეპისკოპოსად დანიშნეს და მონასტრის აბატის ადგილი ანსელმმა დაიკავა. ყოველ შემთხვევაში, თავის „მონოლოგიონში“, რომელიც რწმენის საფუძვლების თაობაზე განაზრებას წარმოადგენს, ანსელმი აცხადებს, რომ დაეთანხმა ბერების „არაერთგზის და დაჟინებით თხოვნას“: თეოლოგიის პრობლემები მხოლოდ გონების არგუმენტებით, საღმრთო წერილის დამოწმების გარეშე დაესაბუთებინა (9, გვ. 27). ეს იყო 1076 წ. ოციოდე ციტატი საღმრთო წერილიდან მოყვანილია არა საბუთად, არამედ მასთან თანხმობის საჩვენებლად. ასეთივე მეთოდითაა დაწერილი ანსელმის „პროსლოგიონი“, რომლის ქვესათაურია „რწმენა, რომელიც გაგებას ეძებს“ /*Fides quae erens intellectum*/ და ნაშრომი — „რატომ გახდა ღმერთი ადამიანი?“ /*Gur Deus homo*/. ანსელმი თვლის, რომ იგი წანამძღვრად უშვებს მხოლოდ საღ ადამიანურ გონებას, რომელსაც შეუძლია არგუმენტის გაგება.

ანსელმი ისე იყო დარწმუნებული თავისი მეთოდის სისწორეში, რომ მას არ გადაუხვია თავისი ყოფილი მასწავლებლის ლანფრანკის მითითების შემდეგაც: ანსელმმა „მონოლოგიონი“ ინგლისში გაუგზავნა ლანფრანკს გაერცელების (გადაწერათა) ნებართვისათვის. ლანფრანკმა მიუთითა იმ ადგილებზე, რომელთა

გადაჭრაზე გონება უარს გვეუბნება და საღმრთო წერილს უნდა მივმართოთ. ანსელმი არ დაეთანხმა მასწავლებელს იმ საბუთით, რომ მის ნაშრომში არსად არაფერია ნათქვამი საღმრთო წერილის საწინააღმდეგო, ანსელმმა თავისი გაიტანა, ეს არ იყო ადვილი საქმე, თუ გავიხსენებთ, რომ ლიონის საეკლესიო კრებამ ასეთივე, მაგრამ უფრო ნაკლებ გამოკვეთილი ცდისათვის გაკიცხა ერიუგენა (იგი ბედავსო საკუთარი ძალებით დაიცვას თავისი დებულებები საღმრთო წერილისა და ეკლესიის მამათა ავტორიტეტის გარეშე. ნ.გვ. 125).

რასაკვირველია, არც ერიუგენას და, მით უმეტეს, არც ანსელმს აზრადაც არ ჰქონიათ საღმრთო წერილის უარყოფა, პირიქით, გონების არგუმენტებით სურდათ მისი გავლენის გაძლიერება, მაგრამ ეს უკვე გონების როლის და ღირებულების გარკვეული აღიარება იყო და ობიექტურად ნიადაგს ამზადებდა ორმაგი ჭეშმარიტების თეორიისათვის.

ანსელმისადმი კათოლიკური ეკლესიის მესვეურთა შემწყნარებლური დამოკიდებულება განპირობებული იყო ამ ეკლესიისადმი მისი სანიშნუშო ერთგულებით პრაქტიკულ მოღვაწეობაში. ლანფრანკის სიკვდილის შემდეგ, კენტერბერიის ეპისკოპოსად დანიშნული ანსელმი თავგამოდებით იბრძვის ინგლისში პაპის უფლებათა განმტკიცებისათვის, უპირისპირდება მეფეებს — უილიამ II და ჰენრი I. ანსელმი ინგლისში ინგლისის ინტერესების წინააღმდეგ იბრძოდა და გასაკვირი არაა, რომ ორჯერ გააძევეს ინგლისიდან. იგი კარგა ხანს ცხოვრობდა რომში, ლიონში და სხვა ქალაქებში. ბოლოს, პაპის დახმარებით მოახერხებს თავის საეპისკოპოსოში დაბრუნებას. უკანასკნელი ნაშრომი — „სულის წარმოშობისათვის“ დაუმთავრებელი დარჩა.

ივიწყებენ რა ერიუგენას დამსახურებას, ანსელმის გამომცემლები ასე აფასებენ მის მოღვაწეობას: „აგრეთვე ავგუსტინესთან, დასავლეთის თეოლოგიის ამ მწვერვალთან, საღმრთო წერილის და გონების დასაბ-

უთებანი ერთმანეთის გვერდით არსებობენ, ანსელმმა პირველმა განიზრახა საღმრთო წერილისა და გონების დასაბუთებანი რადიკალურად გაეთიშა და თავისი თეოლოგია მხოლოდ გონებით დასაბუთებაზე აეგო. ეს გაბედული წამოწყება იყო, რომლის განხორციელებას დიდი შედეგი მოჰყვა“ (9, გვ. 13)¹.

ანსელმი დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ გონებით (*sola ratione*) ღოგმების დახასიათება ქრისტიანული რწმენის ჭეშმარიტების კიდევ ერთი, დამატებითი დასაბუთება, მისი დამაჯერებლობის გაძლიერებაა, თუმცა დასაბუთების გზით მიღებულ ჭეშმარიტებათა კრიტერიუმი რწმენასთან მათ თანხმობაშია. „რწმენა წინ უსწრებს გონებას (*Fides praecedit intellectum*), იგი შესაძლებელს ხდის შემეცნებას. „მწამს, რათა შევიმეცნო (*Gredo ut intellegam*). მაგრამ თუ ღოგმატებს რაიმე თვალსაზრისით მეტი დადასტურება სჭირდებათ, თუ ვინმესთვის (თუნდაც, ურწმუნოსათვის) დასაბუთებით მათ მეტი დამაჯერებლობა აქვთ, მაშინ, ცხადია, გონების გარკვეული დამოკიდებული ღირებულებაა აღიარებული, და ძალაუნებურად დაშვებულია ანსელმის მიერ შეგნებულად უარყოფილი პრინციპიც — „შევიმეცნებ, რათა ვიწამო“. ამასვე ამტკიცებს ანსელმის დებულება იმის შესახებ, რომ, მართალია, რასაც ვერ შევიმეცნებთ, ის მაინც უნდა ვიწამოთ, მაგრამ, საერთოდ, რწმენის ობიექტის გაგებას, შემეცნებას, მორწმუნისათვის სიხარული მოაქვს (11, გვ. 96).

რამდენადაც ანსელმს თავისი რაციონალიზმი შეუმეცნებადი ღმერთის და მისი გამოცხადების შინაარსის გასამართლებლად აქვს გამიზნული, მის პოზიციას მეთოდოლოგიური რაციონალიზმი შეიძლება ეწოდოს. ამგვარი პოზიციის გასამართლებლად ანსელმის

¹ მაგრამ ბრძოლა არ შეწყვეტილა. ღუნს სკოტი კელავ წამოაყენებს დებულებას, რომ თეოლოგიისათვის ჭეშმარიტი შეიძლება ფილოსოფიისათვის ყალბი იყოს, ულიამ ოკამისათვის ეს უკვე თუჯად იქცევა (4, გვ. 186). ტერტულიანესა და სახარების მოშეუღლებით ოკამი ორმაგი ჭეშმარიტების თეორიას იცავდა და მოუწოდებდა გელესიას უარი ეთქვა ამქვეყნიურ ბატონობაზე, თეოლოგიას — ფილოსოფიაზე.

შრომებიდან და წერილებიდან ორი არგუმენტი შეიძლება იქნეს გამოყოფილი: I. წინდაუხედაობაა, როცა რაიმე მტკიცედ გვწამს და არ ვცდილობთ მის გაგებას გონების საშუალებით. რაც გვწამს, მის გაგებას გონების საშუალებით სიზარული მოაქვს ადამიანისათვის; II, მორწმუნე რწმენიდან მიღის ცოდნისაკენ, მაგრამ არსებობენ ურწმუნოებიც, რომლებზეც ქრისტიანულ დოგმებს ძალა არა აქვთ, მაგრამ ლოგიკას ემორჩილებიან. ურწმუნო ლოგიკური არგუმენტებით უნდა ვაიძულოთ, მიიღოს საღმრთო წერილი, ე.ი. ურწმუნო განსხვავებით მორწმუნისაგან, ცოდნიდან მიღის რწმენისაკენ (6, გვ. 127-128).

• თუ როგორ ესმოდა ანსელმს ეს იძულება, ყველაზე ნათლად ჩანს მის მიერ ჩამოყალიბებულ დასაბუთებაში, რომელსაც ღმერთის არსებობის ონტოლოგიური დასაბუთება ეწოდა, იგი მოცემულია ნაშრომში — „პროსლოგონი, ანუ რწმენა, რომელიც გაგებას ეძებს“. ყველა ადამიანს შეუძლია მოიაზროს უმაღლესი არსების, ანუ ღმერთის ცნება. თუ ვიტყვით, რომ ეს უმაღლესი არსება მხოლოდ ჩვენი ცნებაა, ე.ი. მხოლოდ ჩვენს გონებაშია და მის გარეთ არაფერი შეესაბამება, ლოგიკურ წინააღმდეგობაში ჩავყარდებით, რადგან მაშინ ეს ცნება არ იქნება უმაღლესი არსის ცნება, მასზე მაღალი იქნება იმ არსების ცნება, რომელიც ჩვენი აზროვნების გარეთ არსებობს. ამრიგად, უმაღლესი არსების ცნებაში თუ არ შედის ამ არსების აზროვნებისაგან დამოუკიდებელი არსებობაც, მაშინ ის არაა უმაღლესი არსების გამომხატველი, ამრიგად, ღმერთის არსებობის უარყოფა წინააღმდეგობრივია (10, გვ. 309-310). ეს დასაბუთება ემყარება იმის დაშვებას, რომ საგნის ცნებაში მოიაზრება ამ საგნის არსებობა. ამ დებულების მცდარობაზე მიუთითა მისმა თანამედროვემ, პარმუტიეს მონასტრის ბერმა გაუნილომ. იგივე აზრი კანტმა დამაჯერებელი მეცნიერული არგუმენტებით დააფუძნა.

ანსელმის მეთოდოლოგიურ რაციონალიზმში

ადამიანური გონებისათვის გარკვეული დამოუკიდებლობის მინიჭება რომ ქრისტიანული რწმენისათვის არასასურველ ვითარებას შექმნიდა, ამას ყოველთვის გრძნობდნენ თეოლოგიის უფრო ზომიერი და ფხიზელი დამცველები. არა მარტო თომა აქვინელი, არამედ დუნს სკოტიც თვლიდა, რომ ზებუნებრივი სინათლის დახმარების გარეშე ადამიანი საკუთარი გონების ძალით ვერ მიაღწევს „ზუსტ და წმინდა ჭეშმარიტებას“. რაც შეეხება თომა აქვინელის თანამედროვე მისტიკოსს, თეოლოგ ბონავენტურას, იგი შესაძლებლად თვლიდა ონტოლოგიური დასაბუთების დაცვას და, საერთოდ, ანსელმის ტრადიციას მისდევდა (7, გვ. 484-485).

• უნივერსალიების ბუნების შესახებ კამათში, რასაც ევროპული შუა საუკუნეების აზროვნებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ანსელმი რეალიზმის პოზიციას იცავს, ე.ი. იცავს პლატონიდან მომდინარე აზრს უნივერსალიების (იდეების) საგნებამდე არსებობის შესახებ, მაგრამ განსხვავებით პლატონისაგან მისთვის იდეები საგნებამდე მხოლოდ ღმერთის გონებაში არსებობენ. საგნის იდეა, როგორც მისი შესაძლებლობების განხორციელების სრულყოფილი სახე, ღმერთშია. ამ აზრით იტყვის ანსელმი, რომ „ყველა საგანი ღმერთშია“ (იქვე, გვ. 18). ეს დებულება არ უნდა იქნეს გაგებული როგორც პანთეისტური. ანსელმისთვის სამყაროსაგან ტრანსცენდენტურ ღმერთში არის ყველა საგნის იდეალური ნიმუში, როგორც მათი არსებობის საფუძველი.

ანსელმი ობიექტური იდეალისტია. მასზე დიდია ავეუსტინეს გავლენა და პლატონსაც ავეუსტინეს თვალით უყურებს, მაგრამ ამის გამო არისტოტელეს გავლენის შეუფასებლობა ანსელმის შრომებში, როგორც ამას რასელი აკეთებს, არ იქნება მართებული. რასელის აზრით, ანსელმთან ონტოლოგიური დასაბუთების გარდა ყველაფერი ძირითადად ავეუსტინესაგანაა აღებული. ამიტომ მასზე არისტოტელეს გავლენა

უმნიშვნელო იყო, სწორედ ამის გამო ანსელმის მოძღვრებას „არ, ახასიათებს სქოლასტიკური ფილოსოფიის ძირითადი ნიშნები“. ამ ნიშნებს ჩვენ პირველად ანსელმის უმცროს თანამედროვე არისტოტელიკოს როსცელინთან ვხვდებით (7, გვ. 434). არაფერი რომ არ ვთქვათ იმაზე, რომ არისტოტელიკოსობისა და სქოლასტიკოსობის გატოლება საქმის გაიოლებაა, აქ ფაქტიურ შეუსაბამობასთანაც გვაქვს საქმე. ანსელმის ფილოსოფიის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ანსელმის შრომებში მრავალი ადგილის მითითება შეიძლება, სადაც ავგუსტინესთან არა მარტო განსხვავება, არამედ დაპირისპირებაც გვაქვს. საყურადღებოა, რომ ანსელმმა არ გაიზიარა ავგუსტინეს ნეოპლატონიზმი (9, გვ. 12). გარდა ამისა, შრომაში „ჭეშმარიტებისათვის“, რომელიც ახლა ეძლევა ქართველ მკითხველს მშობლიურ ენაზე, არისტოტელეს გავლენას არ შეიძლება უმნიშვნელო ეწოდოს.

ანსელმის ფილოსოფიის ძირითადი წყაროს დადგენისას მკვლევარები, როგორც წესი, ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებიან. თუ რასელი ტრადიციულად ანსელმს ავგუსტინესეული პლატონიზმის საფუძველზე ახსნის, ანსელმის „პროსლოგიონის“ გამომცემელი ფ.ს. შმიტი ცდილობს, ამ ნაშრომში ანსელმის მიერ შემუშავებული გზები ღმერთის დასაბუთებისა (ამ ქვეყნად სიკეთის არსებობიდან უმაღლესი სიკეთის არსებობაზე და შემთხვევითი საგნების არსებობიდან უმაღლეს თავისთავად არსებაზე დასკვნა), რომელიც ავგუსტინეს გავლენის ნიმუშად ითვლებოდა (12, გვ. 244), არისტოტელეს ფილოსოფიიდან გამოიყვანოს. არისტოტელეს ლოგიკური შრომებიდან წარმოშობილად თვლის შმიტი ანსელმის ისეთ ძირითად ცნებებს, როგორიცაა: ბუნება, სუბსტანცია, არსებითობა, ექსისტენცია, აქციდენცია, უნივერსალური, რელაცია, ინდივიდუუმი და სხვ. ანსელმი არისტოტელეს ბოეციუსის თარგმანებით იცნობდა. თუ ანსელმი „ორ-

თაგან ერთ-ერთს, პლატონს ან არისტოტელეს, უნდა მიეკუთვნოს, მაშინ უფრო არისტოტელეს ეკუთვნის“ (9, გვ. 22), ვფიქრობთ, ფაქტობრივ ვითარებას უფრო ეთანხმება იმის დაშვება, რომ ანსელმი ბოეციუსის მსგავსად ცდილობდა პლატონისა და არისტოტელეს შეხედულებათა გაერთიანებას პლატონის მოძღვრების საფუძველზე. საერთოდ, მოაზროვნეზე არისტოტელეს გავლენა არ შეიძლება მისი სქოლასტიკოსობის საბუთად ჩაითვალოს. ანსელმამდე არისტოტელეს დიდ გავლენას განიცდიდნენ არაბი ფილოსოფოსები. კიდევ უფრო ადრე, VI ს. ქრისტიანი მონოფიზიტი-იაკობიტები (სერგი რეშაინელის მეთაურობით) ფილოსოფიას და არისტოტელეს მოძღვრებას აიგივებდნენ, ხოლო არისტოტელეს, როგორც ამას იოანე დამასკელი გვამცნობს, მეცამეტე მოციქულად თვლიდნენ (13, გვ. 275-276).

ღიალოგს „ჭეშმარიტებისათვის“ საპატიო ადგილი უკავია ანსელმის შემკვიდრებაში. ამ ნაშრომმა გარკვეული როლი ითამაშა სქოლასტიკური ფილოსოფიის განვითარებაში. იგი ჭეშმარიტებისა და სისწორის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების ნამდვილი შუასაუკუნეობრივი ენციკლოპედიაა. ამ პრობლემათა თითქმის ყველა სერიოზული გამოკვლევა თომა აქვინელიდან დაწყებული და მ. ჰაიდეგერით გათავებული საჭიროდ თვლის გაითვალისწინოს ანსელმის შრომა „ჭეშმარიტებისათვის“. ეს ნაშრომი დაწერილია „მონოლოგიონის“ შემდეგ, მოწაფისა და მასწავლებლის ღიალოგის სახით. ღიალოგი, როგორც ცნობილია, საუკეთესო ფორმაა აზრთა დაპირისპირების და ამ საფუძველზე ჭეშმარიტების დასადგენად, მაგრამ ამის განსახორციელებლად საჭიროა აზროვნების თავისუფლება და შემწყნარებლობა, რაც შუა საუკუნეებში გამორიცხული იყო. ეს ითქმის ანსელმზეც, მიუხედავად მისი მეთოდოლოგიური რაციონალიზმისა, რომელიც ფორმალურად სრულ თავისუფლებას აძლევს საპირისპირო შეხედულებას, ფაქტიურად ანსელმთან

თანამოსაუბრე არავითარ დაპირისპირებას არ ქმნის, იგი მხოლოდ ძირითადი აზრის ასპექტების მოწოდების საშუალებაა, დიალოგი აქ ფაქტიურად მონოლოგად იქცევა. მეორე პირს არავითარი კონსტრუქციური წვლილი არ შეაქვს კვლევაში, რასაც ადგილი ქონდა მაგ., პლატონის „პარმენიდში“, ხოლო მოგვიანებით ფლორენციის პლატონური აკადემიის წარმომადგენელთა შრომებში.

ანსელმი თავის ნაშრომში „ჭეშმარიტებისათვის“ გამოდის რა ჭეშმარიტისა და მცდარის არისტოტელისეული განმარტებიდან, იხილავს თითქმის ყველა შესაძლებელ ვარიანტს, როცა ადამიანი რაიმეს რაიმე თვალსაზრისით ჭეშმარიტსა და სწორს უწოდებს. ანსელმი არა მარტო განასხვავებს ჭეშმარიტებასა და სისწორეს, არამედ მსჯელობების ჭეშმარიტების გვერდით არჩევს მოქმედების ჭეშმარიტებასა და საერთოდ არსებობის ჭეშმარიტების პრობლემას. თავისთავად ჭეშმარიტება, ურომლისოდაც არავითარი ჭეშმარიტება და სისწორე არ იარსებებს, არის ღმერთი. მისი შედეგია არსებობის ჭეშმარიტება, ეს უკანასკნელი კი საფუძველია შემეცნებაში არსებული ჭეშმარიტებისა. თუ რაიმე ჭეშმარიტი არსებობს, ამტკიცებს ანსელმი, უნდა არსებობდეს თავისთავადი ჭეშმარიტება ანუ ღმერთი, რამდენადაც ყველაფერი, რაც არსებობს ღმერთისაგანაა, დგება საკითხი მცდარ მსჯელობაში ჭეშმარიტების შესახებ (იქვე, გვ. 13). საკითხის მთლიანობაში განხილვის ცდას ანსელმი ხშირად ყალბ, სქოლასტიკურ დიალექტიკამდე მიჰყავს, მაგ., როცა იგი მსჯელობს იმის შესახებ, რომ ზოგჯერ ერთსა და იმავე მოქმედებას ყოფნაც მართებს და არყოფნაც, ეთქვათ, სამსჭვალის მოქმედებას. სამსჭვალე შექმნილია იმისათვის, რომ სხეული განმსჭვალოს, მაგრამ მართებდა თუ არა მას კრისტეს სხეულის განმსჭვალვა?

ჭეშმარიტებაში შეგრძნებისა და აზროვნების წვლილის დადგენისას ანსელმი საკითხს არისტოტელურად

წყვეტს: ცდება აზროვნება და არა შეგრძნება, შეგრძნებები მუდამ ჭეშმარიტებას გვიჩვენებენ. საყურადღებოა ანსელმის მიერ შინაგანი გრძნობის და აზროვნების გაიგივება. ამ საკითხზე კამათი კანტამდე აღწევს, რომელიც შინაგან გრძნობას აზროვნებისაგან განასხვავებს და შინაგანი გრძნობის ფორმად დროის აპრიორულ ფორმას ჩათვლის. მოქმედების ჭეშმარიტება, როგორც სიკეთე, ანსელმს პლატონისებურად ესმის, ე.ი. როგორც ისეთი მოქმედება, რომლის მიზანი თვით ამ მოქმედებაშია. ღმერთი, როგორც თავისთავადი ჭეშმარიტება, მართალია, აუცილებელია დაუშვავთ, მაგრამ მისი არსება შეუუმცნებელია. „ღმერთზე საკუთრივ არაფრის თქმა არ შეიძლება“ (იქვე, გვ. 49). ამრიგად, ანსელმის რაციონალიზმი ირაციონალიზმს და მისტიკას ემყარება. ეს შემდეგ კლასიკური სქოლასტიკის დამახასიათებელი გახდება (11. გვ. 96).

გამოცხადების შინაარსის ლოგიკური ახსნა ანსელმისათვის არ ნიშნავს თვით ღმერთის შემეცნებას. რწმენა მიღის იქ, სადაც ცოდნა ვერ აღწევს. ეს დებულება ეწინააღმდეგება ანსელმის მეთოდის არსს, მაგრამ მისი მსოფლმხედველობის მთლიანობას ქმნის, ეს წინააღმდეგობა გონებისა და რწმენის იმ დაპირისპირებას ამზადებს, რომელიც შემდეგ ორმაგი ჭეშმარიტების სახით იჩენს თავს. ამ წინააღმდეგობის განვითარების ნიადაგზე გონება თანდათან ექცეოდა ჭეშმარიტების ერთადერთ საზომად, რამაც მ. ლუთერი აიძულა თეოლოგიის ფილოსოფიისაგან, ეი რაციონალიზმისაგან გასათავისუფლებლად ეზრუნა (14, გვ. 21).

ანსელმის „ჭეშმარიტებისათვის“ სქოლასტიკური ფილოსოფიის თვალსაჩინო ძეგლია. მისი ქართულად თარგმნა მნიშვნელოვანია არა მარტო შუა საუკუნეების ფილოსოფიის მეცნიერული ანალიზის, ნომინალიზმისა და რეალიზმის ბრძოლაში გარკვევის თვალსაზრისით, არამედ ძველი ქართული ფილოსოფიის კვლევის თვალსაზრისითაც, ანსელმი ეფრემ მცირის, არსენ

იყალთოელის და იოანე პეტრიწის თანამედროვეა. მათი წყაროების, პრობლემატიკის, პრობლემათა გადაჭრის გზების ძიების თვალსაზრისით შედარება საყურადღებო შედეგებს მოგვცემს ძველი ქართული ფილოსოფიის სპეციფიკის დასადგენად.

ლიტერატურა ანსელმის შესახებ საკმაოდ დიდია (იხ. 15, გვ. 188). გარდა ფილოსოფიის, თეოლოგიის და რელიგიის მრავალრიცხოვანი ისტორიებისა, ანსელმის მოძღვრების პრობლემატიკას სისტემატურად განიხილავს „*Studia Anselmiana*“, რომელიც რომში გამოდის. პირველი გამოკვლევა ანსელმის შესახებ ეკუთვნოდა მის მოწაფეს – ბერ ედმერს. ედმერის „*Vita Anselmi*“ გ. გერბერონმა 1721წ. დაურთო ანსელმის შრომების IV გამოცემას (I-1491, II-1544, III-1675 წწ). ისინი მოცემულია – *Patrologia Latina*, Migne, Paris, B. 158-159. 1937 წ. გამოიცა ა. შტოლცის შრომა – „ანსელმ კენტერბერიელი“ გერმანულ ენაზე. 1946 წ. „წმინდა ანსელმი“ გ. კერიანის ავტორობით იტალიურ ენაზე. 1959 წ. გამოქვენდა გერმანული ავტორის, ა. ბუტლერის ნარკვევი – „წმინდა ანსელმ კენტერბერიელის მოძღვრება სულისათვის“ და სხვ.

ლიტერატურა

1. კ. მარქსი, კრიტიკული ბრძოლა ფრანგული მატერიალიზმის წინააღმდეგ, თბილისი, 1971.
2. Лосев А.Ф., История античной эстетики, Москва, 1963 г.
3. Фейербах Л., Избранные философские произведения, т. I, Москва, 1955.
4. Störig H.J., Kleine Weltgeschichte der Philosophie, Mainz, 1970.
5. История философии, колл. авт., Москва, 1941, т. I.
6. Гегель, сочинения, т. XI, М.-Л., 1935.
7. Рассел Б., История западной философии, Москва, 1959.
8. Noack L., Philosophiegeschichtliche Lexikon, Stuttgart, 1968.
9. Anselm von Canterbury, Monologion, Frommann Verlag, 1964.
10. შ. გოგიბერიძე, ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1972.
11. Bernhart J., Die philosophische Mystik des Mittelalters, Darmstadt, 1967.
12. Handbuch theologischer Grundbegriffe, B. 2, München, 1970.
13. Aristoteles in der neueren Forschung, Darmstadt, 1968.
14. Link W., Das Ringen Luthers um die Freiheit der Theologie von der Philosophie, München, 1969.
15. Friedrich Überwegs Grundriss der Geschichte der Philosophie, zweiter Teil, Berlin, 1905.

De veritate

ჭეშმარიტებისათვის

PRAEFATIO

Tres tractatus pertinentes ad studium sacrae scripturae quondam feci diversis temporibus, consimiles in hoc, quia facti sunt per interrogationem et responsionem, et persona interrogantis nomine notatur *discipuli*, respondentis vero nomine *magistri*. Quartum enim, quem simili modo edidi, non inutilem, ut puto, introducendis ad dialecticam, cuius initium est *De grammatico*: quoniam ad diversum ab his tribus studium pertinet, istis nolo connumerare.

Unus horum trium est *De veritate*: quid scilicet sit veritas, et in quibus rebus soleat dici; et quid sit iustitia. Alius vero *De libertate arbitrii*: quid sit, et utrum eam semper habeat homo, et quot sint eius diversitates in habendo vel non habendo rectitudinem voluntatis, ad quam servandam est data creaturae rationali. In quo naturalem tantum fortitudinem voluntatis ad servandam acceptam rectitudinem, non quomodo necessarium ad hoc ipsum illi sit, ut gratia subsequatur, ostendi. Tertius autem est de quaestione, qua quaeritur, quid peccavit diabolus, quia *non stetit in veritate*, cum Deus non dederit ei perseverantiam, quam nisi eo dante habere non potuit; quoniam si Deus dedisset, ille habuisset, sicut boni angeli illam habuerunt,

წინათქმა

საღვთო წერილის შესასწავლად განკუთვნილი სამი ტრაქტატი, რომლებიც წინათ, სხვადასხვა დროს შევადგინე, ერთმანეთს იმით ჰგავს, რომ ისინი კითხვა-პასუხის წესით არიან აგებულნი, ამასთან შემკითხველი მოწაფის სახელით აღინიშნება, ხოლო პასუხისმომცემი — მასწავლებლის სახელით, მეოთხე კი, რომელიც ამავე სახით გამოვეცი (იგი, ვფიქრობ, უსარგებლო არ უნდა იყოს მათთვის, ვინც ღიალექტიკას უნდა გაეცნოს) და რომლის დასაწყისიცაა თავი „გრამატიკოსისათვის“, იმ სამისაგან განსხვავებულ მოძღვრებას ეხება და ამიტომ არ მსურს მათ მივათვალო.

ამ სამიდან ერთია „ჭეშმარიტებისათვის“, რომელიც იკვლევს იმას, თუ რა არის ჭეშმარიტება, ჩვეულებრივ რა საგნებში არსებულად მიიჩნევენ მას და რა არის სამართლიანობა. მეორეა — „არჩევანის თავისუფლებისათვის“. მასში საუბარია იმაზე, თუ რა არის ის¹, ყოველთვის გააჩნია თუ არა ადამიანს და მისი რა განსხვავებული სახეები არსებობს იმ ნების სამართლიანობის ქონა-არქონის აზრით, რის დასაცავადაც ებოძა ის გონიერ არსებას. მასში მივუთითე მხოლოდ მიღებული სამართლიანობის დასაცავად ნების ბუნებით სიმტკიცეზე, რამდენადაც აუცილებელი არ არის, რომ მას წყალობა მოჰყვეს. ხოლო მესამე ეხება საკითხს, რომელიც იკვლევს, თუ რა შეცოდა ეშმაკმა, რამეთუ „არა დაადგრა ჭეშმარიტებასა“², რაკილა არ უბოძა მას ღმერთმა სიმტკიცე, რაც არც შეიძლებოდა ჰქონოდა, უკეთუ ღმერთი არ მისცემდა; ვინაიდან, თუ ღმერთი უბოძებდა, ექნებოდა,

quia Deus illis dedit. Quem tractatum, quamvis ibi de confirmatione bonorum angelorum dixerim, *De casu diaboli* titulavi: quoniam illud contingens fuit, quod dixi de bonis angelis, quod autem scripsi de malis, ex proposito fuit quaestionis.

Qui videlicet tractatus quamvis nulla continuatione dictaminis cohaereant, materia tamen eorum et similitudo disputationis exigit, ut simul eo, quo illos commemoravi, ordine conscribantur. Licet itaque a quibusdam festinantibus alio sint ordine transcripti, antequam perfecti essent, sic tamen eos, ut hic posui, volo ordinari.

ვითარცა ჰქონდათ ის კეთილ ანგელოზებს, რაკილა ღმერთმა უბოძა მათ. ამ ტრაქტატს, მიუხედავად იმისა, რომ მასში კეთილ ანგელოზთა დამკვიდრების შესახებ არის მსჯელობა, ეუწოდე „დაცემისათვის ეშმაკისა“, რამეთუ, რასაც კეთილ ანგელოზთა შესახებ ვამბობდი, შემთხვევითი იყო, ხოლო რასაც ბოროტთა შესახებ ვწერდი, ის საკვლევ საკითხს განეკუთვნებოდა.

ამ ტრაქტატებს, ცხადია, სათქმელის თანმიმდევრობაც რომ არ ახასიათებდეს, მათი მასალა და პაექრობის მსგავსება მაინც გვაფიქრებინებდა, რომ ისინი ერთიანად და იმ რიგით შეთხზულან, რა რიგითაც მათ ვასახელებ. ამიტომ, უკეთუ მავანმა სიჩქარის გამო ჯერ კიდევ მათ გასრულებამდე სხვა რიგით გადაწერა ისინი, მაინც ისევე ვისურვებდი მათ მოწესრიგებას, როგორც აქ განვაწესე.

Capitula

Op. omnia
p.175

- I. Quod veritas non habeat principium vel finem.
- II. De significationis veritate et de duabus veritatibus enuntiationis.
- III. De opinionis veritate.
- IV. De voluntatis veritate.
- V. De actionis naturalis et non naturalis veritate.
- VI. De sensuum veritate.
- VII. De veritate essentiae rerum.
- VIII. De diversis intellectibus *debere et non debere, posse et non posse.*
- IX. Quod omnis actio significet verum aut falsum.
- X. De summa veritate.
- XI. De definitione veritatis.
- XII. De iustitiae definitione.
- XIII. Quod una sit veritas in omnibus veris.

თავები

- I. ჭეშმარიტებას არა აქვს დასაბამი ან დასასრული.
- II. უწყების ჭეშმარიტებისა და გამოთქმის ორივე ჭეშმარიტებისათვის.
- III. აზროვნების ჭეშმარიტებისათვის.
- IV. ნების ჭეშმარიტებისათვის.
- V. ბუნებრივი და არაბუნებრივი ქმედების ჭეშმარიტებისათვის.
- VI. შეგრძნებათა ჭეშმარიტებისათვის.
- VII. საგანთა არსის ჭეშმარიტებისათვის.
- VIII. „მართებს“ და „არ მართებს“, „შეუძლია“ და „არ შეუძლია“ განსხვავებული აზრისათვის.
- IX. ყოველი ქმედება ჭეშმარიტს ან მცდარს გვაუწყებს.
- X. უზენაესი ჭეშმარიტებისათვის.
- XI. ჭეშმარიტების განსაზღვრებისათვის.
- XII. მართებულობის განსაზღვრებისათვის.
- XIII. ერთი ჭეშმარიტებაა ყოველ ჭეშმარიტში.

Capitulum I

Op. omnia
p.176

Quod veritas non habeat principium vel finem

Io 14. 6

Discipulus. Quoniam Deum veritatem esse credimus, et veritatem in multis aliis dicimus esse, vellem scire, an ubicumque veritas dicitur, Deum eam esse fateri debeamus. Nam tu quoque in *Monologio* tuo per veritatem orationis probas summam veritatem non habere principium vel finem, dicens:

‘Cogitet qui potest, quando incepit aut quando non fuit hoc verum: scilicet quia futurum erat aliquid; aut quando desinet et non erit hoc verum: videlicet quia praeteritum erit aliquid. Quodsi neutrum horum cogitari potest, et utrumque hoc verum sine veritate esse non potest: impossibile est vel cogitare quod veritas principium aut finem habeat.

Denique si veritas habuit principium aut habebit finem: antequam ipsa inciperet, verum erat tunc quia non erat veritas; et postquam finita erit, verum erit tunc quia non erit veritas. Atqui verum non potest esse sine veritate. Erat igitur veritas, antequam esset veritas; et erit veritas, postquam finititia erit veritas; quod inconvenientissimum est. Sive igitur dicatur veritas habere, sive intelligatur non habere principium vel finem: nullo claudi potest veritas principio vel fine.’

ჭეშმარიტებას არა აქვს დასაბამი ან
დასასრული

მოწაფე: რაკილა გეწამს, რომ ღმერთი ჭეშმარიტე-
ბაა¹, თან ვამბობთ, ჭეშმარიტება ბევრ სხვა რამეშიც
არისო, მსურდა გამეგო, გემართებს თუ არა ყოვ-
ელთვის, როცა კი ჭეშმარიტებაზეა ლაპარაკი, თქმა
იმისა, რომ ის ღმერთია. აკი თავადვე დასტურყოფ
შენს „მონოლოგიონში“ სიტყვის ჭეშმარიტების წყა-
ლობით, უზენაეს ჭეშმარიტებას არა აქვსო დასაბამი
ან დასასრული, როდესაც ამბობ:

„განსაჯოს, ვისაც ძალუმს, როდის დაიწყო ან
როდის არ იყო ეს ჭეშმარიტი, სახელდობრ ის, რომ
რალაც მომავლისეული იყო, ან როდის დასრულდება
და არ იქნება ეს ჭეშმარიტი, სახელდობრ ის, რომ
რალაც წარმავალი იქნება. და თუ ამ ორიდან არც
ერთის მოაზრება არ შეიძლება, და ამ ორივე ჭეშ-
მარიტის ჭეშმარიტების გარეშე ყოფნა არ შეიძლება,
იმის მოაზრებაც შეუძლებელია, რომ ჭეშმარიტებას
დასაბამი ან დასასრული აქვს.

დაბოლოს, თუ ჭეშმარიტებას დასაბამი ჰქონდა
ან დასასრული ექნება, მაშინ, სანამ ის დაიწყებოდა,
ჭეშმარიტი იყო, რომ არ იყო ჭეშმარიტება; და მას
შემდეგ, რაც ის დასასრულს ნახავს, ჭეშმარიტი იქნება,
რომ არ იქნება ჭეშმარიტება; მაგრამ ჭეშმარიტი არ
შეიძლება არსებობდეს ჭეშმარიტების გარეშე. მაშა-
სადამე, არსებულა ჭეშმარიტება, სანამ იარსებებდა
ჭეშმარიტება, და იარსებებს ჭეშმარიტება მას შემდეგ,
რაც აღარ იარსებებს ჭეშმარიტება, რაც სრულიად
შეუთავსებელია. ამრიგად, იმას ვამტკიცებთ, რომ ჭეშ-
მარიტებას დასაბამი ან დასასრული აქვს, თუ იმას
ვალღარებთ, რომ არა აქვს, ჭეშმარიტების დასაბამითა
და დასასრულით შემოფარგულა შეუძლებელია.“

Haec tu in *Monologio* tuo. Quapropter veritatis definitionem a te discere exspecto.

M. Non memini me invenisse definitionem veritatis; sed si / vis quaeramus per rerum diversitates, in quibus veritatem dicimus esse, quid sit veritas.

D. Si aliud non potero, vel audiendo adiuvabo.

ამას ამბობ შენ შენს „მონოლოგონში“, ამიტომაც მოველი, რომ შენგან შევიტყობ ჭეშმარიტების განსაზღვრებას.

მასწავლებელი: არ მაგონდება, რომ მიმეკვლიოს ჭეშმარიტების განსაზღვრებისათვის, მაგრამ, თუკი გსურს, იმ განსხვავებულ საგანთა მეშვეობით, რომლებშიც ვამბობთ, არისო ჭეშმარიტება, გამოვიძიოთ, თუ რა არის ჭეშმარიტება.

მოწაფე: სხვა თუ ვერაფერი შეეძელ, მოსმენით მაინც დაგეხმარები.

Capitulum II

De significationis veritate et de duabus veritatibus enuntiationis

M. Quaecramus ergo primum, quid sit veritas in enuntiatione, quoniam hanc saepius dicimus veram vel falsam.

D. Quaere tu, et quidquid inveneris ego servabo.

M. Quando est enuntiatio vera?

D. Quando est quod enuntiat, sive afirmando sive negando. Dico enim quod enuntiat, etiam quando negat esse quod non est; quia sic enuntiat quemadmodum res est.

M. An ergo tibi videtur quod res enuntiata sit veritas enuntiationis?

D. Non.

M. Quare?

D. Quia nihil est verum nisi participando veritatem; et ideo veri veritas in ipso vero est, res vero enuntiata non est in enuntiatione vera. Unde non eius veritas, sed causa veritatis eius dicenda est. Quapropter non nisi in ipsa oratione quaerenda mihi videtur eius veritas.

M. Vide ergo, an ipsa oratio aut eius significatio aut aliquid eorum, quae sunt in definitione enuntiationis, sit quod quaeris.

D. Non puto.

M. Quare?

D. Quia si hoc esset, semper esset vera, quoniam eadem manent omnia, quae sunt in

უწყების ჭეშმარიტებისა და გამოთქმის ორივე
ჭეშმარიტებისათვის

მასწავლებელი: ამრიგად, უწინ ის გამოვიკვლიოთ, თუ რა ყოფილა გამოთქმის ჭეშმარიტება, რაკილა უფრო ხშირად მას ვუწოდებთ ჭეშმარიტს ან მცდარს.

მოწაფე: შენ ეძიე და რასაც კპოვებ, დავიცავ.

მასწავლებელი: როდის არის გამოთქმა ჭეშმარიტი?

მოწაფე: როდესაც არის, რასაც ის გამოთქვამს, იქნება ეს მტკიცებითი თუ უარყოფითი. კერძოდ, ვამბობ, რასაც ის გამოთქვამს—მეთქი, მაშინაც კი, როცა უარყოფს, რომ არის, რაც არ არის; რადგან ამგვარად გამოთქვამს, თუ როგორია საგანი.

მასწავლებელი: ხომ არ გგონია, რომ გამოთქმული საგანია გამოთქმის ჭეშმარიტება?

მოწაფე: არა.

მასწავლებელი: რატომ?

მოწაფე: რადგარ არაფერია ჭეშმარიტი ჭეშმარიტების მონაწილეობის გარეშე, ამიტომაც არის ჭეშმარიტის ჭეშმარიტება თვით ჭეშმარიტში. გამოთქმული საგანი კი არ არის ჭეშმარიტ გამოთქმაში. ამდენად მას არა მისი ჭეშმარიტება, არამედ მისი ჭეშმარიტების მიზეზი უნდა ეწოდოს. აკი ამიტომაც ვფიქრობ, რომ მისი ჭეშმარიტება მხოლოდ თვით სიტყვაშია დასაძებნი.

მასწავლებელი: მაშ, მოიფიქრე, შეიძლება თუ არა იყოს ის, რასაც შენ ეძებ, თვით სიტყვა ან მისი უწყება თუ სხვა რამ იქიდან, რაც გამოთქმის განსაზღვრებაში შედის.

მოწაფე: არა მგონია.

მასწავლებელი: რატომ?

მოწაფე: ასე რომ ყოფილიყო, ის მუდამ ჭეშმარიტი იქნებოდა, რამეთუ ყოველივე, რაც გამოთქმის განსაზ-

enuntiationis definitione, et cum est quod enuntiat, et cum non est. Eadem enim est oratio et eadem significatio et cetera similiter.

M. Quid igitur tibi videtur ibi veritas?

D. Nihil aliud scio nisi quia, cum significat esse quod est, tunc est in ea veritas et est vera.

M. Ad quid facta est affirmatio?

D. Ad significandum esse quod est.

M. Hoc ergo debet.

D. Certum est.

M. Cum ergo significat esse quod est, significat quod debet.

D. Palam est.

M. At cum significat quod debet, recte significat.

D. Ita est.

M. Cum autem recte significat, recta est significatio.

D. Non est dubium.

M. Cum ergo significat esse quod est, recta est significatio.

D. Ita sequitur.

M. Item cum significat esse quod est, vera est significatio.

D. Vere et recta et vera est, cum significat esse quod est.

M. Idem igitur est illi et rectam et veram esse, id est significare esse quod est.

D. Vere idem.

M. Ergo non est illi aliud veritas quam rectitudo.

ღერებაში შედის, იგივე რჩება როგორც მაშინ, როცა არსებობს, რასაც ის გამოთქვამს, ასევე მაშინაც, როცა არ არსებობს. კერძოდ, იგივეა სიტყვა, იგივეა უწყება და ასევე დანარჩენნიც.

მასწავლებელი: მაშ, რა გესახება შენ იქ ჭეშმარიტებად?

მოწაფე: სხვა არა ვუწყი, თუ არა ის, რომ, როცა გვაუწყებს, არისო, რაც არის, მაშინ არის მასში ჭეშმარიტება და მაშინ არის ის ჭეშმარიტი.

მასწავლებელი: რისთვის არის შექმნილი მტკიცება?

მოწაფე: საუწყებლდ იმისა, რომ არის, რაც არის.

მასწავლებელი: მაშასადამე, ეს მართებს კიდევ.

მოწაფე: უეჭველია.

მასწავლებელი: ამრიგად, როცა ის გვაუწყებს, რომ არის, რაც არის, იმას გვაუწყებს, რაც მართებს.

მოწაფე: ცხადია.

მასწავლებელი: ასე რომ, როცა გვაუწყებს, რაც მართებს, სწორად გვაუწყებს.

მოწაფე: ასეა.

მასწავლებელი: ხოლო როცა სწორად გვაუწყებს, სწორია უწყება.

მოწაფე: უეჭველია.

მასწავლებელი: მაშ, როცა გვაუწყებს, რომ არის, რაც არის, სწორია უწყება.

მოწაფე: ასე გამოდის.

მასწავლებელი: ასევე, როცა გვაუწყებს, რომ არის, რაც არის, ჭეშმარიტია უწყება.

მოწაფე: მართლაც, სწორიც არის და ჭეშმარიტიც, როცა გვაუწყებს, რომ არის, რაც არის.

მასწავლებელი: მაშ, იგივეა მისთვის იყოს სწორიც და ჭეშმარიტიც, ანუ გვაუწყოს, რომ არის, რაც არის.

მოწაფე: მართლაც იგივეა.

მასწავლებელი: მაშ, ჭეშმარიტება მისთვის სხვა არაფერია, თუ არა სისწორე.

D. Aperte nunc video veritatem hanc esse rectitudinem.

M. Similiter est, cum enuntiatio significat non esse quod non est.

D. Video quod dicis. Sed doce me quid respondere possim, si quis dicat quia, etiam cum oratio significat esse quod non est, significat quod debet. Pariter namque accepit significare esse, et quod est et quod non est. Nam si non accepisset significare esse etiam quod non est, non id significaret. Quare etiam cum significat esse quod non est, significat quod debet. At si quod debet significando, recta et vera est, sicut ostendisti: vera est oratio, etiam cum enuntiat esse quod non est.

Op. omnia
p.179

M. Vera quidem non solet dici, cum significat esse quod non est; veritatem tamen et rectitudinem habet, quia facit quod debet; Sed cum significat esse quod est, dupliciter facit quod debet; quoniam significat et quod accepit significare, et ad quod facta est. Sed secundum hanc rectitudinem et veritatem, qua significat esse quod est, usu recta et vera dicitur enuntiatio; non secundum illam, qua significat esse etiam quod non est. Plus enim debet propter quod accepit significationem, quam propter quod non accepit. Non enim accepit significare esse rem, cum non est, vel non esse, cum est, nisi quia non potuit illi dari tunc solummodo significare esse, quando est, vel non esse, quando non est.

მოწაფე: ახლა აშკარად ეხედავ, რომ ჭეშმარიტება არის ეს სისწორე.

მასწავლებელი: ამის შესავსია, როცა გამოთქმა გვაუწყებს, რომ არ არის, რაც არ არის.

მოწაფე: მესმის, რასაც ამბობ, მაგრამ მასწავლე, რა მიუუგო, თუ თქვა მევანმა: ოდეს სიტყვა გვაუწყებს, რომ არის, რაც არ არის, მაშინაც გვაუწყებსო, რაც მართებს. აკი თანაბრად უტვირთავს მას უწყება იმისა, რომ არის როგორც ის, რაც არის, ასევე ისიც, რაც არ არის. უკეთუ არ იტვირთავდა იმის უწყებას, რომ არის ისიც, რაც არ არის, ხომ ვერ გვაუწყებდა ამას. ამიტომ, მაშინაც კი, როცა გვაუწყებს, რომ არის, რაც არ არის, იმას გვაუწყებს, რაც მართებს. ხოლო, თუ ის, როგორც შენ თქვი, სწორია და ჭეშმარიტი იმის უწყებისას, რაც მართებს, ჭეშმარიტი ყოფილა მაშინაც, როცა გამოთქვამს, რომ არის, რაც არ არის.

მასწავლებელი: ჩვეულებრივ, არც შეიძლება მას ჭეშმარიტი ეწოდოს, როცა გვაუწყებს, რომ არის, რაც არ არის; თუმცაღა აქვს მას ჭეშმარიტება და სისწორე, რამეთუ იმას იქმს, რაც მართებს. მაგრამ, როცა გვაუწყებს, რომ არის, რაც არის, ორმაგად აკეთებს იმას, რაც მართებს, რამეთუ იმასაც გვაუწყებს, რისი უწყებაც იტვირთა და იმასაც, რისთვისაც ის შეიქმნა. მაგრამ [სიტყვათ]ხმარებაში მას სწორი და ჭეშმარიტი გამოთქმა ეწოდება შესაბამისად იმ სისწორისა და ჭეშმარიტებისა, რითაც გვაუწყებს იმის ყოფნას, რაც არის და არა იმის მიხედვით, რითაც იმის ყოფნასაც გვაუწყებს, რაც არ არის. ის ხომ უფრო იმისი მოვალეა, რისი უწყებაც იტვირთა, ვიდრე იმისა, რისი უწყებაც არ უტვირთავს. მას ხომ არ უტვირთავს უწყება იმისა, რომ არის საგანი, როცა ის არ არის ან, რომ არ არის ის, როცა ის არის: მას არც შეიძლება ბოდა მისცემოდა უნარი სხვა რამ ეუწყებინა, თუ არ ის, რომ არის საგანი, როცა ის არის ან, რომ არ არის ის, როცა ის არ არის.

Alia igitur est rectitudo et veritas enuntiationis, quia significat ad quod significandum facta est; alia vero, quia significat quod accepit significare. Quippe ista immutabilis est ipsi orationi, illa vero mutabilis. Hanc namque semper habet, illam vero non semper. Istam enim naturaliter habet, illam vero accidentaliter et secundum usum. Nam cum dico: ‚dies est‘, at significandum esse quod est, recte utor huius orationis significatione, quia ad hoc facta est; et ideo tunc recte dicitur significare. Cum vero eadem oratione significo esse quod non est, non ea recte utor, quia non ad hoc facta est; et idcirco non recta tunc eius significatio dicitur. Quamvis in quibusdam enuntiationibus inseparabiles sint istae duae rectitudines seu veritates; ut cum dicimus: ‚homo animal est‘, aut: ‚homo lapis non est‘. Semper enim haec affirmatio significat esse quod est, et haec negatio non esse quod non est; nec illa possumus uti ad significandum esse quod non est – semper enim homo animal est –, nec ista ad significandum non esse quod est, quia homo numquam lapis est.

De illa igitur veritate, quam habet oratio secundum quod aliquis ea recte utitur, incepimus quaerere, quoniam secundum hanc veram eam iudicat usus communis locutionis. De illa autem veritate, quam non habere non potest, postea dicemus.

D. Redi igitur ad id quod incepisti, quoniam sufficienter mihi inter duas veritates orationis discrevistis; si tamen aliquam eam veritatem ostenderis habere, cum mentitur, sicut dicis.

M. De veritate significationis, de qua incepimus, interim ista sufficiant. / Eadem

მაშ, ერთია სისწორე და ჭეშმარიტება გამოთქმისა, როცა ის მას გვაუწყებს, რის საუწყებლადაც შეიქმნა, ხოლო მეორე — როცა ის იმას გვაუწყებს, რისი უწყებაც იტვირთა. ცხადია, ეს¹ თვით სიტყვისთვის არის უცვლელი, ის² კი — შემთხვევით და [სიტყვათ] ხმარების მიხედვით. აკი, როცა ვამბობ, ღლეა-მეთქი, საუწყებლად იმისა, რომ არის, რაც არის, სწორად ვსარგებლობ ამ სიტყვის უწყებით, რამდენადაც ამისთვის არის ის შექმნილი; ამიტომაც ეწოდება ამ შემთხვევაში უწყებას სწორი, ხოლო როცა იმავე სიტყვით ვიუწყები, რომ არის, რაც არ არის, სწორად არ ეხმარობ მას, რამდენადაც ამისთვის არ არის ის შექმნილი; ამიტომაც ეწოდება ამ შემთხვევაში მის უწყებას არასწორი. თუმცაღა, ზოგ გამოთქმაში ორივე ეს სისწორე ანდა ჭეშმარიტება განუყოფელია; როგორც მაშინ, როცა ვამბობთ: „ადამიანი სულიერი არსებაა“ ან: „ადამიანი ქვა არ არის“. ეს მტკიცება³ ზომ მუდამ გვაუწყებს, რომ არის, რაც არის, და ეს უარყოფა⁴, რომ არ არის, რაც არ არის, არც ის⁵ შეგვიძლია გამოვიყენოთ საუწყებლად იმისა, რომ არის, რაც არ არის, რამდენადაც ადამიანი მუდამ სულიერი არსებაა, არც ეს⁶ — საუწყებლად იმისა, რომ არ არის, რაც არის, რამეთუ ადამიანი არასოდეს არ არის ქვა. მაშ, კვლევა დავიწყეთ იმ ჭეშმარიტების გამო, რაც აქვს სიტყვას, მას შემდეგ, რაც მას მართებულად გამოიყენებენ, რამეთუ ამის მიხედვით მიიჩნევენ მას ყოველდღიური ენა ჭეშმარიტად. იმ ჭეშმარიტების გამო კი, რომლის არქონაც მას არ ძალუძს, შემდეგ ვისაუბრებთ.

მოწაფე: მაშ, რაკი ჯეროვნად განმასხვავებინე სიტყვის ორივე ჭეშმარიტება, დაუბრუნდი იმას, რითაც დაიწყე; დაბოლოს, ისიც მიჩვენე, რომ მას რაღაც ჭეშმარიტება აქვს, როცა ტყუის, როგორც შენ ამბობ.

მასწავლებელი: უწყების ჭეშმარიტებისათვის, რითაც ჩვენ დავიწყეთ, ჯერხანად ეს იქმარებდა, რამეთუ იგივე საფუძველი ჭეშმარიტებისა, რაც წარმოთქმულ სი-

**enim ratio veritatis, quam in propositione
vocis perspeximus, consideranda est in
omnibus signis, quae fiunt ad significandum
aliquid esse vel non esse, ut sunt scripturae
vel loquela digitorum.**

D. Ergo transi ad alia.

ტყვაში განვიხილეთ, მოსააზრებელია ყოველ უწყებაში, რაც შექმნილა საუწყებლად იმისა, რომ არის რაღაც ან არ არის, როგორცაა დამწერლობანი თუ თითებით საუბრის ენა.

მოწაფე: მაშ, გადადი სხვაზე.

Capitulum III

De opinionis veritate

M. Cogitationem quoque dicimus veram, cum est, quod aut ratione aut aliquo modo putamus esse; et falsam, cum non est.

D. Ita habet usus.

M. Quid ergo tibi videtur veritas in cogitatione?

D. Secundum rationem, quam de propositione vidimus, nihil rectius dicitur veritas cogitationis quam rectitudo eius. Ad hoc namque nobis datum est posse cogitare esse vel non esse aliquid, ut cogitemus esse quod est, et non esse quod non est. Quapropter qui putat esse quod est, putat quod debet, atque ideo recta est cogitatio. Si ergo vera est et recta cogitatio non ob aliud quam, quia putamus esse quod est, aut non esse quod est: non est aliud eius veritas quam rectitudo.

M. Recte consideras.

თაზო III

აზროვნების ჭეშმარიტებისათვის

მასწავლებელი: აზროვნებასაც ჭეშმარიტს ვუწოდებთ, როცა არის ის, რაც გონებით ან სხვა რაიმე წესით მიგვაჩნია, რომ არის; და მცდარს, როცა ის არ არის.

მოწაფე: ამ გამოთქმას ჩვეულებრივ ასე ხმარობენ.

მასწავლებელი: მაშ, რას მიიჩნევ აზროვნების ჭეშმარიტებად?

მოწაფე: იმ მსჯელობის შესაბამისად, რასაც ძირითადი საკითხის გამო ჰქონდა ადგილი, უფრო მართებული რა შეიძლება ეწოდოს აზროვნების ჭეშმარიტებას, თუ არა მისი სისწორე, სწორედ იმიტომ მოგვენიჭა რაღაცის ყოფნის ან არყოფნის მოაზრების უნარი, რათა მოვიაზროთ, რომ არის, რაც არის, და, რომ არ არის, რაც არ არის. ამრიგად, ვინც ფიქრობს, რომ არის, რაც არის, ფიქრობს იმას, რაც მართებს, და, ამდენად, მისი აზროვნებაც სწორია. ამრიგად, თუ აზროვნება მხოლოდ იმდენად არის ჭეშმარიტი და სწორი, რამდენადაც ვფიქრობთ, რომ არის, რაც არის ან, რომ არ არის, რაც არ არის, მაშინ მისი ჭეშმარიტება სხვა არაფერია, თუ არა სისწორე.

მასწავლებელი: მართებულად მსჯელობ.

Capitulum IV

De voluntatis veritate

Io 8, 44

Sed et in voluntate dicit veritas ipsa veritatem esse, cum dicit diabolum *non stetisse in veritate*. Non enim erat in veritate neque deseruit veritatem nisi in voluntate.

*Op. omnia
p. 181*

D. Ita credo. Si enim semper voluisset quod debuit, numquam peccasset, qui non nisi peccando veritatem deseruit.

M. Dic ergo quid ibi intelligas veritatem

D. Non nisi rectitudinem. Nam si, quamdiu voluit quod debuit, ad quod scilicet voluntatem acceperat, in rectitudine et in veritate fuit, et cum voluit quod non debuit, rectitudinem et veritatem deseruit: non aliud ibi potest intelligi veritas quam rectitudo, quoniam sive veritas sive rectitudo non aliud in eius voluntate fuit quam velle quod debuit.

M. Bene intelligis.

ნების ჭეშმარიტებისათვის

მაგრამ თვით ჭეშმარიტება ამბობს, ნებაშიც არისო ჭეშმარიტება, როცა გვაუწყებს, ეშმაკი „ჭეშმარიტებასა არა დაადგრაო“¹. რაკილა არ იყო ჭეშმარიტებაში, არც დაუტოვებია ჭეშმარიტება სხვაგვარად, თუ არა ნებაში.

მოწაფე: ვგონებ ასეა. თუკი მუდამ იმას ისურვებდა, რაც მართებდა, ხომ არც არასოდეს შეცოდებდა ის, ვინც მხოლოდ შეცოდების გამო დაუტევა ჭეშმარიტება.

მასწავლებელი: მაშ, თქვი, რა მიგაჩნია შენ იქ ჭეშმარიტებად?

მოწაფე: არაფერი სისწორის გარდა, უკეთუ ვიღრე ის სურდა, რაც მართებდა, — კერძოდ ის, რისთვისაც ნება მიიღო, — სისწორეს და ჭეშმარიტებას ადგა, და, როცა ის ისურვა, რაც არ მართებდა, სისწორე და ჭეშმარიტება დაუტევა: ჭეშმარიტება იქ სხვაგვარად არ შეიძლება გავიგოთ, თუ არა სისწორედ, რაკილა არც ჭეშმარიტება და არც სისწორე სხვა არაფერი ყოფილა მის ნებაში, თუ არა სურვილი იმისა, რაც მას მართებდა.

მასწავლებელი: კარგად გესმის.

Capitulum V

De actionis naturalis et non naturalis veritate

Verum in actione quoque nihilominus veritas credenda est, sicut Dominus dicit, quia *qui male agit, odit lucem*; et: *qui facit veritatem, venit ad lucem*.

D. Video quod dicis.

M. Considera igitur quid ibi sit veritas, si potes.

D. Ni fallor, eadem ratione, qua supra veritatem in aliis cognovimus, in actione quoque contemplanda est.

M. Ita est. Nam si male agere et veritatem facere opposita sunt, sicut ostendit Dominus, cum dicit: *qui male agit, odit lucem*; et: *qui facit veritatem, venit ad lucem*: idem est veritatem facere quod est bene facere. Bene namque facere ad male facere contrarium est. Quapropter si veritatem facere et bene facere idem sunt in oppositione, non sunt diversa in significatione. Sed sententia est omnium quia, qui facit quod debet, bene facit et rectitudinem facit. Unde sequitur quia rectitudinem facere est facere veritatem. Constat namque facere veritatem esse bene facere, et bene facere esse rectitudinem facere. Quare nihil apertius quam veritatem actionis esse rectitudinem.

D. In nullo video titubare considerationem tuam.

Io 3, 20

Io 3, 21

ბუნებრივი და არაბუნებრივი ქმედების
ჭეშმარიტებისათვის

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჭეშმარიტება ქმედებაშიც არის საგულვებელი, რამეთუ, როგორც უფალი გვამცნობს: „რომელი იქმნ ბოროტსა, სძულნ ნათელი“¹, და „რომელი იქმნ ჭეშმარიტებასა, მოვიდის ნათელსა“².

მოწაფე: მესმის, რასაც ამბობ.

მასწავლებელი: მაშ, თუ ძალგიძს, მოიფიქრე, რა არის იქ³ ჭეშმარიტება.

მოწაფე: თუ არ ვცდები, ის ქმედებაშიც იმავე გზით არის განსაზილველი, რა გზითაც ადრე სხვაგან შევიცნობდით ჭეშმარიტებას.

მასწავლებელი: ასეა, კერძოდ, თუ ქმნა ბოროტისა და ქმნა ჭეშმარიტებისა დაპირისპირებულნი არიან, ვითარცა ამას უფალი ცხადყოფს, ამბობს რა: „რომელი იქმნ ბოროტსა, სძულნ ნათელი“; და „რომელი იქმნ ჭეშმარიტებასა, მოვიდის ნათელსა“, მაშინ იგივეა ქმნა ჭეშმარიტებისა, რაც არის ქმნა კეთილისა. რაკილა სიკეთის ქმნა უპირისპირდება ბოროტის ქმნას, ამიტომ, თუკი ქმნა ჭეშმარიტებისა და ქმნა კეთილისა იგივეობრივნი არიან დაპირისპირებაში, არც უწყებაში არიან განსხვავებულნი. მაგრამ, აღიარებულა ის აზრი, რომ, ვინც იქმს, რაც მართებს, კარგად იქცევა და სისწორეს იქმს. აქედან გამომდინარე, ქმნა სისწორისა არის ქმნა ჭეშმარიტებისა. აკი ცნობილია, რომ ქმნა ჭეშმარიტებისა არის ქმნა კეთილისა, და ქმნა კეთილისა არის ქმნა სისწორისა. ამიტომ, არაფერია იმაზე უფრო ცხადი, თუ არა ის, რომ სისწორეა ჭეშმარიტება ქმედებისა.

მოწაფე: ვერ ვხედავ, შენი მსჯელობა რამეში მერყეობდეს.

Op. omnia
p.182

M. Inspice, an omnis actio, quae facit quod debet, veritatem facere convenienter dicatur. Est quippe actio rationalis, ut dare eleemosynam; et / est irrationalis actio, ut actio ignis, qui calefacit. Vide ergo, an convenienter dicamus ignem facere veritatem.

D. Si ignis ab eo, quo habet esse, accepit calefacere: cum calefacit, facit quod debet. Igitur non video, quae inconuenientia sit ignem facere veritatem et rectitudinem, cum facit quod debet.

M. Mihi quoque non aliter videtur. Unde animadverti potest rectitudinem seu veritatem actionis aliam esse necessariam, aliam non necessariam. Ex necessitate namque ignis facit rectitudinem et veritatem, cum calefacit; et non ex necessitate facit homo rectitudinem et veritatem, cum bene facit.

Io 3, 21

Facere autem non solum pro eo, quod proprie dicitur facere, sed pro omni verbo Dominus voluit intelligere, cum dixit, quoniam *qui facit veritatem, venit ad lucem*.

Mt 5, 10

Non enim separat illum ab hac veritate sive luce, qui patitur persecutionem *propter iustitiam*; aut qui est, quando et ubi debet esse; aut qui stat vel sedet, quando debet; et similia. Nullus namque dicit tales non bene facere. Et cum apostolus dicit quia recipiet unusquisque *prout gessit*, intelligendum ibi est quidquid solemus dicere bene facere vel male facere.

2 Co 5, 10

მასწავლებელი: დაუკვირდი, მართებულად ითქმის თუ არა ყოველ ქმედებაზე, რომელიც იქმს, რაც მართებს, ჭეშმარიტებას იქმსო. ხომ არსებობს ქმედება გააზრებული, როგორიცაა მოწყალების გაღება; და არსებობს ქმედება გაუაზრებელი, როგორიცაა ქმედება ცეცხლისა, რომელიც ათბობს. მაშ, განსაჯე, თუ იქნებოდა მართებული, რომ გვეთქვა, ცეცხლი იქმსო ჭეშმარიტებას.

მონაწილე: თუკი ცეცხლს იქიდან მიენიჭა გათბობა, საიდანაც ყოფიერება აქვს, მაშინ, რაკი ათბობს, იქმს იმას, რაც მართებს. ამრიგად, ვერ ვხედავ, თუ რა შეუსაბამობაა იმაში, რომ ცეცხლი ჭეშმარიტებასა და სისწორეს იქმს, როცა იქმს, რაც მართებს.

მასწავლებელი: მეც ასე ვფიქრობ. ამრიგად, შესაძლოა ვივარაუდოთ, ერთი სახის სისწორე ან ჭეშმარიტება ქმედებისა აუცილებელიაო, მეორე კი არა, რამეთუ აუცილებლობით იქმს ცეცხლი სისწორესა და ჭეშმარიტებას, როცა ათბობს, ადამიანი კი აუცილებლობით არ იქმს სისწორესა და ჭეშმარიტებას, როცა კეთილს იქმს.

„ქმნა“ მხოლოდ იმად კი არ სურდა უფალს გაეგო, რასაც საკუთრივ „ქმნა“ ეწოდება, არამედ ყოველ ზმნად, რაკი ამბობდა: „რომელი იქმნ ჭეშმარიტებასა, მოვიდის ნათელსა“. რამეთუ არ განასხვავებს ამ ჭეშმარიტებისაგან ანუ ნათელისაგან იმას, ვინც „სიმართლისათვის“⁴ დაითმენს დევნას; ან ვინც არის, როდესაც და სადაც მართებს ყოფნა; ან ვინც დგას ან ზის, როდესაც მართებს; და ა.შ. რამეთუ არავინ ფიქრობს, რომ ასეთნი არა იქმენ კეთილსა. და ამბობს რა მოციქული, მიეგებაო თითოეულს იმისდა მიხედვით, რამცა-იგი ქმნაო⁵, მაშინ გასაგებია, თუ რაზე ითქმის ჩვეულებრივ ქმნა კეთილისა თუ ქმნა ბოროტისა.

D. Usus quoque communis locutionis hoc habet, ut et pati et multa alia dicat facere, quae non sunt facere. Quare rectam quoque voluntatem, de cuius veritate ante veritatem actionis supra contemplati sumus, inter rectas actiones, ni fallor, cumputare possumus.

Io 3, 21

M. Non falleris. Nam qui vult quod debet, recte et bene facere dicitur, nec ab iis, *qui veritatem faciunt*, excluditur. Sed quoniam de veritate investigando illam loquimur, et Dominus de illa veritate, quae in voluntate est, specialiter dicere videtur, cum dicit de diabolo *quia in veritate non stetit*: ideo separatim, quid in voluntate veritas esset, considerare volui.

Io 8, 44

D. Placet mihi ita factum esse.

Op. omnia
p. 183

M. Cum ergo constet actionis veritatem aliam esse naturalem, aliam non naturalem: sub naturali ponenda est illa veritas orationis, quam supra vidimus ab illa non posse separari. Sicut enim ignis, cum calefacit, veritatem facit, quia ab eo accepit, a quo habet esse: ita et haec oratio, scilicet 'dies est', veritatem facit, cum significat diem esse, sive dies sit sive non sit; quoniam hoc naturaliter accepit facere.

D. Nunc primum video in falsa oratione veritatem.

მოწაფე: საყოველთაო სიტყვათხმარებასაც სჩვევია ის, რომ დათმენა და სხვა რამ მრავალი, რაც „ქმნას“ არ წარმოადგენს, „ქმნად“ მიიჩნიოს. ამდენად, სწორი ნებაც, რომლის ჭეშმარიტების შესახებ ზემოთ, ქმედების ჭეშმარიტებამდე ვიმსჯელებთ, თუ არ ვცდები, სწორ ქმედებათა შორის შეგვიძლია ვიგულოთ.

მასწავლებელი: არ ცდები, რაკილა მასზე, ვისაც ის სურს, რაც მართებს, ამბობენ, სწორსა და კეთილს იქმსო, ის არც იმათგან გამოირიცხება, „რომელი იქმნ ჭეშმარიტსა“⁶. მაგრამ, რაკი ჭეშმარიტების კვლევისას ამაზე ვლაპარაკობთ, უფალი კი იმ ჭეშმარიტების შესახებ, რაც ნებაშია, ვფიქრობ, განსაკუთრებული აზრით ლაპარაკობს, როცა ეშმაკის შესახებ ამბობს, ჭეშმარიტებასა არა დაადგრაო;⁷ ამიტომ ცალკე ვისურვებდი განმეხილა, თუ რა არის ჭეშმარიტება ნებაში.

მოწაფე: მომწონს, რომ ეს მოხდა.

მასწავლებელი: მაშ, რაკილა დადგენილია, რომ ქმედების ერთი ჭეშმარიტება ბუნებრივია, მეორე კი არა, ბუნებრივში სიტყვის ის ჭეშმარიტებაა ჩასათვლელი, რომლის მისგან⁸ გამიჯნვა, როგორც ზემოთ⁹ დავინახეთ, არ შეიძლება, რამეთუ, ვითარცა ცუცხლი იქმს ჭეშმარიტებას, როცა ათბობს, რაკი ის¹⁰ მან იმისგან მიიღო, ვისგანაც ყოფიერება აქვს, ასევე ეს სიტყვაც, სახელდობრ, „დღეა“, ჭეშმარიტებას იქმს, როცა გვაუწყებს, რომ დღეა, სულ ერთია, დღე არის თუ არა, რამეთუ მან ამის ქმნა ბუნებრივად მიიღო.

მოწაფე: ახლალა ვხედავ პირველად ჭეშმარიტებას მცდარ თქმაში.

Capitulum VI

De sensuum veritate

M. Putasne nos praeter summam veritatem omnes sedes invenisse veritatis?

D. Reminiscor nunc cuiusdam veritatis, quam in his, de quibus tractasti, non invenio.

M. Quae est illa?

D. Est quidem in sensibus corporis veritas, sed non semper. Nam fallunt nos aliquando. Nam cum video aliquando per medium vitrum aliquid, fallit me visus, quia aliquando renuntiat mihi corpus, quod video ultra vitrum, eiusdem esse coloris, cuius est et vitrum, cum alterius sit coloris; aliquando vero facit me putare vitrum habere colorem rei, quam ultra video, cum non habeat. Multa sunt alia, in quibus visus et alii sensus fallunt.

M. Non mihi videtur haec veritas vel falsitas in sensibus esse, sed in opinione. Ipse namque sensus interior se fallit, non illi mentitur exterior. Quod aliquando facile cognoscitur, aliquando difficile. Cum enim puer timet sculptum draconem aperto ore, facile cognoscitur quia non hoc facit visus, qui nihil aliud puero renuntiat quam senibus, sed puerilis sensus interior, qui nondum bene scit discernere inter rem et rei similitudinem. Tale est, cum videntes hominem

შეგრძნებათა ჭეშმარიტებისათვის

მასწავლებელი: ხომ არ ფიქრობ, რომ უზენაესი ჭეშმარიტების გარდა ჭეშმარიტების ყველა სამყოფელს მივაკვლიეთ?

მოწაფე: ახლავა მაგონდება ერთი ჭეშმარიტება, რასაც მათ შორის, რომელთა გამოც საუბრობდი, ვერ ვპოულობ.

მასწავლებელი: ეს რაღა არის?

მოწაფე: ეს არის, კერძოდ, ჭეშმარიტება სხეულის შეგრძნებებში, თუმც არა მუდამ, რამეთუ ზოგჯერ გვაცდუნებენ ისინი. ასე რომ, ზოგჯერ, როცა ვხედავ რაიმეს უშუალოდ მინიდან, მაცდუნებს მხედველობა, რადგან ის ზოგჯერ მაუწყებს, რომ სხეული, რომელსაც მინის მიღმა ვხედავ, იმავე ფერისაა, რა ფერისაც მინაა, თუმცაღა ის¹ სხვა ფერისაა; ზოგჯერ კი მაფიქრებინებს², რომ მინას აქვს ფერი იმ საგნისა, რომელსაც მის მიღმა ვხედავ, თუმცაღა მას ის ფერი არა აქვს. არსებობს სხვა რამ მრავალი, რაშიაც მხედველობა და სხვა შეგრძნებანი გვაცდუნებენ.

მასწავლებელი: ჩემი აზრით, ეს ჭეშმარიტება ან მცდარობა არის არა შეგრძნებებში, არამედ წარმოსახვაში. მართლაცღა, შინაგან გრძნობას გარეგანი კი არ ატყუებს, არამედ თავადვე ტყუდება თავის თავში. ეს ხან ადვილად შეიცნობა, ხანაც ძნელად. ბავშვს რომ ქანდაკაქმნილი, პირდაღებული ურჩხულისა ეშინია, ხომ ადვილად შეიცნობა, რომ ამას იქმს არა მხედველობა, რაც იმასვე ამცნობს ბავშვს, რასაც მოხუცს, არამედ შინაგანი გრძნობა ბავშვისა, რომელიც ჯერ კიდევ ვერ ხედავს ჯეროვნად სხვაობას საგანსა და საგნის ასახვას შორის. ასევეა, ოღეს

alicui similem putamus illum esse, cui/ similis est; aut cum audiens quis non hominis vocem putat esse vocem hominis. Nam et hoc facit sensus interior.

Quod autem dicis de vitro, ideo est, quia cum visus transit per corpus aliquod aerii coloris, non aliter impeditur assumere similitudinem coloris, quem ultra videt, quam cum transit per aera; nisi in quantum illud corpus, quod transit, spissius aut obscurius est aere. Ut cum transit per vitrum sui coloris, id est, cui nullus alius admixtus est color; aut per purissiman aquam aut per crystallum aut per aliquid similem habens colorem. Cum vero transit idem visus per alium colorem, ut per vitrum non sui coloris, sed cui alius color est additus: ipsum colorem, qui prius occurrit, accipit. Quapropter quoniam post unum acceptum colorem, secundum quod illo affectus est, alium quicumque occurrat aut nullatenus aut minus integre suscipit: ideo illum, quem prius cepit, aut solum aut cum eo, qui post occurrit, renuntiat. Si enim visus quantum capax est coloris, tantum afficitur priori colore, non potest alium simul sentire colorem. Si autem minus quam colorem sentire possit, priori afficitur, potest alium sentire. Ut si transit per aliquod corpus, velut per vitrum, quod ita sit perfecte rubicundum, ut omnino

მხილველნი ვილაცის მსგავსი ადამიანისა, ვფიქრობთ, ეს ის არისო, ვისაც მას ვამსგავსებთ; ან ოღეს ვინმე, მსმენელი ხმისა, რომელიც ადამიანის ხმა არ არის, ფიქრობს, ეს არისო ხმა ადამიანისა. ამასაც ხომ შინაგანი გრძობა იქმს?

ხოლო რასაც მინის შესახებ ამბობ, იმიტომ ხდება, რომ მხედველობა, განჭვრეტს რა ჰაერისფერ რაიმე სხეულს, სწორედ ისევე არ ბრკოლდება იმ ფერის მსგავსების აღქმაში, რომელსაც მიღმა ხედავს, როგორც მაშინ, როცა ის ჰაერს განჭვრეტს; უკეთუ სხეული, რომელსაც ის² განჭვრეტს, რამდენადმე უფრო მკერძივი და უფრო მუქი არ არის ჰაერზე. ასევეა მაშინ, როცა ის² განჭვრეტს მისი ფერის მინას³, ანუ, რომელშიც არც ერთი სხვა ფერი არ არის შერეული; ან ანკარა წყალს, ან ბროლს, ან მსგავსი ფერის მქონე რამეს, ხოლო განჭვრეტს რა იგივე მხედველობა სხვა ფერს, ვთქვათ, არა მისი ფერის მინას³, არამედ, რომელსაც სხვა ფერი აქვს შერთული, აღიქვამს სწორედ იმ ფერს, რომელსაც უწინ შეხვდება. ამრიგად, რაკი ერთი ფერის აღქმის შემდეგ, მას მერე, რაც მისითაა აღვსილი, სხვას, რაც მას შეხვდება, ან სულ არ იღებს, ან იღებს მეტნაკლები სისავსით, ამიტომ ან მარტო იმას ასახვს, რაც უწინ აღიქვა, ან იმასთან ერთად, რაც შემდგომ შეხვდა. კერძოდ, თუ მხედველობა იმდენად არის აღვსილი უწინდელი ფერით, რამდენადაც ფერის შეთვისება შეუძლია, მას არ ძალუძს იმთავად სხვა ფერის აღქმა. ხოლო, თუ ნაკლებად არის უწინდელით აღვსილი, ისე რომ ფერის აღქმა შეუძლია, სხვისი აღქმაც ძალუძს. ამგვარად, თუკი ის განჭვრეტს რაიმე სხეულს, ვთქვათ მინას, რომელიც იმდენად სრულყოფილად წითელია, რომ თავად მხედველობა მთლად აღივსო მისი სიწითლით, არ ძალუძს მას იმთავად განსხვავებული ფერით აღვსება. ხოლო, თუ ჰპოვა არა იმდენად სრულყოფილი

ipse visus afficiatur eius rubore, nequit diverso simul affici colore. Si autem non tam perfectum invenit ruborem, qui prior occurrit, quantum coloris capax est: quasi nondum plenus adhuc alium valet assumere colorem, in quantum eius capacitas priori colore non est satiata. Qui ergo hoc nescit, putat visum renuntiare, quia omnia, quae post prius assumptum colorem sentit, aut omnino aut aliquatenus eiusdem sint coloris. Unde contingit, ut sensus interior culpam suam imputet sensui exteriori.

Similiter cum fustis integer, cuius pars est intra aquam et pars extra, putatur fractus; aut cum putamus quod visus noster vultus nostros inveniat in speculo: et cum multa alia nobis aliter videntur visus et alii sensus nuntiare quam sint: non culpa sensuum est, qui renuntiant quod possunt, quoniam ita posse acceperunt, sed iudicio animae imputandum est, quod non bene discernit, quid illi possint aut quid debeant.

Quod ostendere, quoniam laboriosum magis est quam fructuosum ad hoc, quod intendimus, in hoc modo tempus insumendum non arbitror. Hoc tantum sufficiat dicere quia sensus, quidquid renuntiare videantur, sive ex sui natura hoc faciant / sive ex alia aliqua causa: hoc faciunt quod debent, et ideo rectitudinem et veritatem faciunt; et continetur haec veritas sub illa veritate, quae est in actione.

D. Satisfecisti mihi tua responsione, et nolo te amplius morari in hac de sensibus quaestione.

წითელი, — როგორც უწინ შეხვდა, — რომ ფერის აღქმა შეუძლია: ვითარცა ჯერ აღუესებელს, კიდევ ძალუძს მიღება სხვა ფერისა, რამეთუ მისი უნარი აღქმისა უწინდელი ფერით არ არის მაძლარი. მაშ, ვინც ეს არ იცის, ჰგონია, მხედველობა გვამცნობსო, რომ ყველაფერი, რასაც ის უწინ შეძენილი ფერის შემდეგ შეიგრძნობს, მთლიანად ან რამდენადმე იმავე ფერისაა. აქედან გამომდინარეობს, შინაგანი გრძნობა თავის შეცდომას გარეგან გრძნობას რომ მიაწერს.

ასევე, მიიჩნევა რა გატეხილად მთელი ჯოხი, რომლის ნაწილი წყალშია და ნაწილი წყლის ზემოთ; ან როცა ვფიქრობთ, რომ ჩვენი მხედველობა ჩვენს გამოსახულებას პოულობს სარკეში; და როცა ჩვენ გვესახება, თითქოს მხედველობა და მრავალი სხვა შეგრძნება ბევრ რამეს სხვაგვარად გვაუწყებს, ვიდრე სინამდვილეშია: ეს არის არა შეგრძნებათა ბრალი, რომლებიც გვაუწყებენ, რისი ძალიც შესწევთ, რამდენადაც ამგვარი ათვისების უნარი აქვთ, არამედ ეს არის ბრალი განსჯადი სულისა, რომელიც კარგად არ განასხვავებს, თუ რისი ძალა შესწევთ, ან რა მართებთ მათ.⁴

ამრიგად, ვფიქრობ, ამის ჩვენებაზე დრო არ უნდა დაიკარგოს, რამეთუ იმისათვის, რასაც ვესწრაფვით, ეს უმაღლესი დამქანცველია, ვიდრე ნაყოფიერი. მხოლოდ იმის თქმას ვიკმარებდი, რომ შეგრძნებანი, რის მაუწყებლადაც არ უნდა გვესახებოდნენ, აკეთებენ ამას მათი ბუნებიდან გამომდინარე თუ სხვა რამ მიზეზით, ყოველთვის იმას იქმენ, რაც მართებთ, და ამდენად, სამართლიანობას და ჭეშმარიტებას სჩადიან; ამ ჭეშმარიტებას კი უქვემდებარებენ იმ ჭეშმარიტებას, რაც ქმედებაშია.

მოწაფე: კმაყოფილი ვარ შენი პასუხით, და შეგრძნებათა თაობაზე არ მსურს მეტად დაგაყოვნო.

Capitulum VII

De veritate essentiae rerum

M. Iam considera, an praeter summam veritatem in aliqua re veritas sit intelligenda, exceptis iis, quae supra conspecta sunt.

D. Quid illud esse potest?

M. An putas aliquid esse aliquando aut alicubi, quod non sit in summa veritate, et quod inde non acceperit quod est, in quantum est, aut quod possit aliud esse, quam quod ibi est?

D. Non est putandum.

M. Quidquid igitur est, vere est, in quantum est hoc, quod ibi est.

D. Absolute concludere potes quia omne quod est, vere est, quoniam non est aliud quam quod ibi est.

M. Est igitur veritas in omnium quae sunt essentia, quia hoc sunt, quod in summa veritate sunt.

D. Video ita ibi esse veritatem, ut nulla ibi possit esse falsitas; quoniam quod falso est, non est.

M. Bene dicis. Sed dic, an aliquid debeat aliud esse, quam quod est in summa veritate.

D. Non.

M. Si ergo omnia hoc sunt quod ibi sunt, sine dubio hoc sunt quod debent.

D. Vere hoc sunt quod debent.

M. Quiquid vero est quod debet esse, recte est.

საგანთა არსის ჭეშმარიტებისათვის

მასწავლებელი: ახლა განსაჯე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უზენაეს ჭეშმარიტებას, თუ არის ჭეშმარიტება სხვა რამეში საგულვებელი, იმათ გარდა, რაც ზემოთ განვაცხადეთ.

მოწაფე: რა შეიძლება იყოს ეს?

მასწავლებელი: იქნებ ფიქრობ, ყოფილა ოდესღაც ან სადღაც რაღაც, რაც შესაძლოა არ იყოს უზენაეს ჭეშმარიტებაში, და რაც იქიდან არ მიიღებს იმას, რაც ის არის, რამდენადაც ის არის, ან რომ შესაძლოა, იყოს რაღაც სხვა, ვიდრე ის, რაც იქ არის?

მოწაფე: ამას რა მაფიქრებინებს.

მასწავლებელი: მაშ, რაც არის, ჭეშმარიტია, რამდენადაც ის ის არის, რაც იქ არის.

მოწაფე: უთუოდ შეგიძლია დაასკვნა, რომ ყოველივე, რაც არის, ჭეშმარიტად არის, რამეთუ ის სხვა არაფერია, თუ არა ის, რაც იქ არის.

მასწავლებელი: მაშ, არის ჭეშმარიტება ყოველივეს არსში, რაც არსებობს, რამეთუ ისინი არიან ის, რაც უზენაეს ჭეშმარიტებაში არიან.

მოწაფე: ვხედავ, იქ ისეთი ჭეშმარიტება ყოფილა, რომ არავითარ მცდარობას არ ძალუძს იქ ყოფნა; რამეთუ ის, რაც მცდარია, არ არსებობს.

მასწავლებელი: კარგად ამბობ, მაგრამ, თქვი, თუ მართებს რამეს სხვა რამედ ყოფნა, თუ არა იმად, რაც უზენაეს ჭეშმარიტებაშია.

მოწაფე: არა.

მასწავლებელი: მაშ, თუკი ყოველივე ის არის, არც იქ არის, ისინი უეჭველად ის არიან, რაც მართებთ.

მოწაფე: ჭეშმარიტად ის არიან, რაც მართებთ.

მასწავლებელი: ხოლო ყოველივე, რაც არის ის, რადაც ყოფნა მართებს, სწორად არის.

Op. omnia
p. 186

D. Aliter non potest.

M. Igitur omne quod est, recte est.

D. Nihil consequentius.

M. Si ergo et veritas et rectitudo idcirco sunt in rerum essentia, quia hoc sunt quod sunt in summa veritate: certum est veritatem rerum esse rectitudinem.

D. Nihil planius quantum ad consequentiam argumentationis.

მოწაფე: სხვაგვარად. შეუძლებელია.

მასწავლებელი: მაშ, ყოველივე, რაც არის, სწორად არის.

მოწაფე: არაფერია უფრო თანმიმდევრული.

მასწავლებელი: მაშ, თუკი ჭეშმარიტებაც და სისწორეც იმიტომ არიან საგანთა არსში, რომ არიან ის, რაც არიან უზენაეს ჭეშმარიტებაში: ცხადია, საგანთა ჭეშმარიტება სისწორე არის.

მოწაფე: დასაბუთების თანმიმდევრობის თვალსაზრისით უფრო ცხადი არაფერია.

Capitulum VIII

De diversis intellectibus debere et non debere, posse et non posse

Sed secundum rei veritatem quomodo possumus dicere, quia quidquid est debet esse, cum sint multa opera mala, quae certum est esse non debere?

M. Quid mirum, si eadem res debet esse et non esse?

D. Quomodo potest hoc esse?

M. Scio te non dubitare quia nihil omnino est, nisi Deo aut faciente aut permittente.

D. Nihil mihi certius.

M. An audebis dicere quia Deus aliquid faciat aut permittat non sapienter aut non bene?

D. Immo assero quia nihil nisi bene et sapienter.

M. An iudicabis non debere esse, quod tanta bonitas et tanta sapientia facit aut permittit?

D. Quis intelligens hoc audeat cogitare?

M. Debet igitur esse pariter et quod faciente et quod permittente Deo fit.

D. Patet quod dicis.

M. Dic etiam, putes esse debere malae voluntatis effectum.

D. Idem est, ac si dicas, an debeat esse malum opus, quod nullus sensatus concedet.

„მართებს“ და „არ მართებს“, „შეუძლია“ და „არ შეუძლიას“ განსხვავებული აზრისათვის

მაგრამ როგორღა შეგვიძლია საგნის ჭეშმარიტების შესაბამისად თქმა იმისა, რაც არის, ყოფნა მართებსო, როცა არსებობს ბევრი ბოროტი საქმე, რასაც, უეჭველია, არ მართებს ყოფნა.

მასწავლებელი: რაა საკვირველი, თუკი ერთსა და იმავე საგანს ყოფნაც მართებს და არყოფნაც?

მოწაფე: როგორ შეიძლება ეს მოხდეს?

მასწავლებელი: ვიცი, ეჭვი არ გეპარება იმაში, რომ არაფერი არსებობს საერთოდ, თუ არა ის, რაც ღმერთმა შექმნა ან დაუშვა.

მოწაფე: უფრო ცხადი ჩემთვის არაფერია.

მასწავლებელი: იქნებ გაკადნიერდე თქმად იმისა, რომ ღმერთი იქმს ან დაუშვებს რამეს უგონოდ ან უკეთურად?

მოწაფე: პირიქით, ვამტკიცებ, რომ ის არაფერს იქმს, თუ არა კეთილად და გონივრულად.

მასწავლებელი: იქნებ ფიქრობ, არ მართებსო ყოფნა იმას, რასაც წმინდა სიკეთე და წმინდა სიბრძნე იქმს ან დაუშვებს?

მოწაფე: გონიერთაგან ვინ გაბედავს ამის გაფიქრებას?

მასწავლებელი: მაშ, ყოფნა ერთნაირად მართებს იმასაც, რაც ღმერთის მოქმედებით ხდება, და იმასაც, რაც მისი ნებართვით ხდება.

მოწაფე: ცხადია, რასაც ამბობ.

მასწავლებელი: ისიც თქვი, თუ ფიქრობ, ყოფნა მართებსო ბოროტი ნების შედეგს.

მოწაფე: ეს იგივე იქნებოდა, რომ გეთქვა, თუ მართებსო ყოფნა ბოროტ საქმეს, რასაც არც ერთი ჭკუათმყოფელი არ დაუშვებს.

M. Permittit tamen Deus aliquos male facere quod male volunt.

D. Utinam non tam saepe permetteret.

M. Idem igitur debet esse et non esse. Debet enim esse, quia bene et sapienter ab eo, quo non permittente fieri non posset, permittitur; et non debet; esse quantum ad illum, cuius iniqua voluntate concipitur. Hoc igitur modo Dominus Iesus, quia solus innocens erat, non debuit mortem / pati, nec ullus eam illi debuit inferre; et tamen debuit eam pati, quia ipse sapienter et benigne et utiliter voluit eam sufferre. Multis enim modis eadem res suscipit diversis considerationibus contraria. Quod in actione saepe contingit, ut in percussione. Percussio namque et agentis est et patientis. Unde et actio dici potest et passio. Quamvis secundum ipsum nomen actio vel percussio et quae similiter dicta a passivis in activa significatione dicuntur, magis videantur esse patientis quam agentis. Quippe secundum id quod agit, magis proprie videtur dici agentia vel percutientia; et secundum id quod patitur, actio et percussio. Nam agentia et percutientia ab agente et percutiente dicitur, sicut providentia a providente et continentia a continente, quae scilicet agens et percutiens, providens et continens activa sunt; actio vero et percussio ab acto et percusso,

მასწავლებელი: მაინც რთავს ღმერთი მკვანთ იმის ბოროტად ქმნის ნებას, რაც მათ ბოროტად სურთ.

მოწაფე: ნეტავ ესოდენ ხშირად არ რთავდეს ნებას!

მასწავლებელი: მაშ, ერთსა და იმავეს ყოფნაც მართებს და არყოფნაც. სახელდობრ, მართებს ყოფნა, რამეთუ კეთილად და ბრძნულად დაიშვება იმის მიერ, ვისი ნებართვის გარეშეც მას არ ძალუძს მოხდენა; და არ მართებს ყოფნა იმის გამო, ვისი ბოროტი ნებითაც ის ხდება. მაშასადამე, უფალ იესუს არ მართებდა დათმენა სიკვდილისა, რამეთუ მხოლოდ ის იყო უცოდველი, არც არავის მართებდა, რომ მისთვის ის მიეგო; და მაინც მართებდა მას მისი დათმენა, რაკი თავადვე სურდა მისი ბრძნულად, კეთილად და სასიკეთოდ ატანა. ხომ სხვადასხვაგვარად იღებს ერთი და იგივე საგანი განსხვავებული თვალსაზრისით დაპირისპირებულთ. ამას ხშირად აქვს ადგილი ქმედებაში, ვთქვათ დარტყმაში. დარტყმა ხომ მოქმედსაც ეკუთვნის და დამთმენსაც. ამიტომ მას ქმედებაც შეიძლება ეწოდოს და დათმენაც. თუმცა, შესაბამისად თვით სახელწოდებისა, ქმედება ან დარტყმა, და მსგავსად ამისა ის, რაც დამთმენთა შესახებ ითქმის, ხოლო აღნიშვნისას მოქმედი ეწოდებათ, ჩანს, უფრო მეტად დამთმენს განეკუთვნებიან, ვიდრე მოქმედს. რასაკვირველია, იმის მიხედვით, რაც მოქმედებს, უფრო მართებულად მიგვაჩნია ვუწოდოთ მას ქცევა ან ცემა; და იმის მიხედვით, რაც დაითმენს — მოქმედება და დარტყმა. ქცევა და ცემა ხომ მოქმედიდან და დამრტყმელიდან გამომდინარე ითქმის, ვითარცა წინდახედულება წინდახედულიდან გამომდინარე, თავშეკავებულობა კი თავშეკავებულიდან გამომდინარე, რომელნიც, სახელდობრ, მოქმედი და დამრტყმელი, წინდახედული და თავშეკავებული, აქტიურნი არიან; ხოლო მოქმედება და დარტყმა გამომდინარეობს მათგან, ვისზედაც იმოქმედეს და

quae passiva sunt, derivantur. Sed quoniam – ut in uno dicam quod in ceteris intelligas, – sicut percutiens non est sine percusso nec percussus absque percutiente, ita percutientia et percussio sine invicem esse nequeunt, immo una et eadem res est diversis nominibus secundum diversas partes significata: idcirco percussio et percutientis et percussi esse dicitur.

Quapropter secundum quod agens vel patiens eidem subiacent iudicio vel contrariis, ipsa quoque actio ex utraque parte similiter iudicabitur aut contrarie. Cum ergo et qui percutit, recte percutit, et qui percutitur, recte percutitur, ut cum peccans ab eo, ad quem pertinet, corrigitur: ex utraque parte recta est, quia ex utraque parte debet esse percussio. E contrario, quando iustus ab iniquo percutitur: quia nec iste percuti nec ille percutere debet, ex utraque parte non recta est, quia ex neutra parte debet esse percussio. Cum vero peccans ab eo, ad quem non pertinet, percutitur: quoniam et iste debet percuti et ille non debet percutere, debet et non debet esse percussio; et ideo recta et non recta negari non potest. Quod si ad supernae sapientiae bonitatisque consideres iudicium, sive ex altera tantum sive ex utraque parte, agentis scilicet et patientis, esse non debeat percussio: quis audebit negare debere esse quod tanta sapientia et bonitate permittitur?

D. Neget qui audet; ergo vero non audeo.

სცემეს, მათგან, ვინც პასიურნი არიან. მაგრამ, — ერთი სიტყვით რომ გაუწყო ის, რასაც სხვაგან შეიტყობდი, — როგორც მცემელი არ არსებობს ნაცემის გარეშე, და არც ნაცემი მცემელის გარეშე, ასევე არ არსებობს ცემა და დარტყმა დაპირისპირების გარეშე, მეტიც, ერთი და იგივე საგანია სხვადასხვა სახელით სხვადასხვა მხრიდან აღნიშნული; ამიტომ ამბობენ: დარტყმა მცემელსაც მიეწერებაო და ნაცემსაც.

შესაბამისად იმისა, მოქმედი ან დამთმენი ერთსა და იმავე მსჯელობას ექვემდებარება თუ საპირისპიროს, თავად ქმედებაც ორივე მხრიდან მსგავსად შეფასდება ან საპირისპიროდ. მაშ, როცა ისიც სამართლიანად სცემს, ვინც სცემს, და იმასაც სამართლიანად სცემენ, ვისაც სცემენ, — ამრიგად, როცა ცოდვილს ისა სდებს მსჯავრს, ვისაც ეს ეგება, — ორივე მხრიდან მართებულია მოქმედება, რამეთუ ორივე მხრიდან მართებს არსებობა დარტყმას. პირიქით, როცა მართალს სცემს მტყუანი: რაკი არც მას უნდა სცემონ, და არც ეს უნდა სცემდეს, ეს მოქმედება ორივე მხრიდან არასწორია, რაკი არც ერთი მხრიდან არ მართებს დარტყმას არსებობა. ხოლო, როცა ის სცემს შემცოდებელს, ვისაც ეს არ ეგება, მართებს კიდევ ცემას არსებობა და არც მართებს, რამეთუ იმას კი მართებს, რომ სცემონ, მაგრამ ამას არ მართებს, რომ სცემოს; და ამდენად არ შეიძლება უარყოფა იმისა, რომ ის სწორიც არის და არასწორიც, და თუ ღვთაებრივი სიბრძნისა და სიკეთის განჩინებას განჩხრეკ, რომც არ მართებდეს დარტყმას არსებობა, თუგინდ ერთი, ან ორივე მხრიდან, კერძოდ, მოქმელისა და დამთმენის მხრიდან: ვინ გაბედავს იმის უარყოფას, რომ არსებობა მართებს იმას, რასაც ეგზომ დიდი სიბრძნე და სიკეთე დაუშვებს?

მოწაფე: უარყოს, ვინც გაბედავს, მე კი ვერ გავბედავ.

M. Quid etiam, si secundum rerum naturam consideres, ut cum clavi ferrei impressi sunt in corpus Domini: an dices fragilem carnem non debuisse penetrari, aut acuto ferro penetratam non debuisse dolere?

Op. omnia
p. 188

D. Contra naturam dicerem.

M. Potest igitur contingere, ut debeat esse secundum naturam actio vel passio, quae secundum agentem vel patientem esse non debet, quoniam nec ille agere nec iste debet pati.

D. Nihil horum negare possum.

M. Vides ergo saepissime posse contingere, ut eadem actio debeat esse et non debeat esse diversis considerationibus?

D. Ita aperte hoc ostendis, ut non possim non videre.

M. Verum inter haec te scire volo, quia debere et non debere dicitur aliquando improprie; ut cum dico, quia debeo amari a te. Si enim vere debeo, debitor sum reddere quod debeo, et in culpa sum, si non amor a te.

D. Ita sequitur.

M. Sed cum debeo amari a te, non est a me exigendum, sed a te.

D. Fateri me ita esse oportet.

M. Cum ergo dico, quia debeo amari a te, non ita dicitur, quasi ego aliquid debeam, sed quia tu debes amare me. Similiter cum dico, quia non debeo amari a te, non aliud intelligitur, quam quia tu non debes amare me.

მასწავლებელი: და თუ საგანთა ბუნების მიხედვით განსაჯე, ვთქვათ, რკინის სამსჭვლებით რომ განმსჭვალეს უფლის სხეული: იქნებ თქვა, უძლურ სხეულს არ მართებდაო განმსჭვალვა, ან მახვილი რკინით განმსჭვალულს არ მართებდაო ტყენა?

მოწაფე: ბუნების წინააღმდეგ ნათქვამი იქნებოდა ეს.

მასწავლებელი: მაშ, შესაძლოა მოხდეს, რომ თანახმად ბუნებისა ყოფნა მართებდეს ქმედებას ან დათმენას, რასაც არ მართებს ყოფნა თანახმად მოქმედისა და დათმენისა, რამეთუ არც იმას მართებს ქმედება, არც ამას დათმენა.

მოწაფე: აქედან ვერაფერს უარვეყოფ.

მასწავლებელი: მაშ, გესმის, რომ ერთობ ხშირად შეიძლება მოხდეს, ერთსა და იმავე ქმედებას სხვადასხვა მოსაზრებით ყოფნაც რომ მართებდეს და არყოფნაც.

მოწაფე: ისე აშკარად ცხადყოფ ამას, რომ შეუძლებელია, ვერ გავიგო.

მასწავლებელი: მაგრამ ისიც მსურს იცოდე, „მართება-არმართებას“ ზოგჯერ არასაკუთრივი მნიშვნელობით რომ ხმარობენ; თუნდაც, როცა ვამბობ, რომ მმართვეს შენგან შეყვარება, თუკი ჭეშმარიტად მმართვეს, ვალდებული ვარ დავაბრუნო, რაც მმართვეს, და დამნაშავე ვარ, თუ არ შემეყვარე.

მოწაფე: ასე გამოდის.

მასწავლებელი: მაგრამ, როცა შენგან მმართვეს შეყვარება, ეს¹ მე კი არ მომეთხოვება, არამედ შენ.

მოწაფე: უნდა ვაღიარო, რომ ასეა.

მასწავლებელი: მაშ, როცა ვამბობ, რომ მმართვეს შენგან შეყვარება, ამას ისე კი არ ვამბობ, თითქოს მე მმართვედეს რამე, არამედ, რომ შენ გმართვეს შეყვარება ჩემი. ასევე, როცა ვამბობ, რომ არ მმართვეს შენგან შეყვარება, სხვა არაფერი იგულისხმება ამაში, თუ არა ის, რომ არ გმართვეს შენ შეყვარება ჩემი.

Qui modus loquendi est etiam in potentia et in impotentia. Ut cum dicitur: Hector potuit vinci ab Achille, et Achilles non potuit vinci ab Hectore. Non enim fuit potentia in illo, qui vinci potuit, sed in illo, qui vincere potuit; nec impotentia in illo, qui vinci non potuit, sed in illo, qui vincere non potuit.

D. Placet mihi quod dicis. Quippe utile puto hoc cognoscere.

M. Recte putas.

ამავე წესით მსჯელობენ „ძალასა“ და „უძლურე-
ბაზე“. ვთქვათ, როცა ამბობენ: ჰექტორს შეწვედაო
ძალი ძლეულიყო აქილევსისგან, და აქილევსს არ
შეწვედაო ძალი ძლეულიყო ჰექტორისგან. ძალა
იმაში კი არ იყო მოცემული, ვისაც შეეძლო დამარ-
ცხებულისყო, არამედ იმაში, ვისაც გამარჯვება შეე-
ძლო; არც იმაში იყო მოცემული უძლურება, ვისაც
არ შეეძლო დამარცხებულისყო, არამედ იმაში, ვისაც
გამარჯვება არ შეეძლო.

მოწაფე: მომწონს, რასაც ამბობ, დიალაც, სასარგე-
ბლოდ მიმაჩნია ამის შეცნობა.

მასწავლებელი: მართალი ხარ.

Capitulum IX

Quod omnis actio significet verum aut falsum

Sed redeamus ad veritatem significationis, a qua ideo incepti, ut te a notioribus ad ignotiora perducerem. Omnes enim de veritate significationis loquunter; veritatem vero, quae est in rerum essentia, pauci considerant.

Op. omnia
p. 189

D. Profuit mihi quia hoc ordine me duxisti.

M. Videamus ergo, quam lata sit veritas significationis. Namque non solum in iis, quae signa solemus dicere, sed et in aliis omnibus, quae diximus, est significatio vera vel falsa. Quoniam namque non est ab aliquo faciendum, nisi quod quis debet facere, eo ipso quod aliquis aliquid facit, dicit et significat hoc se debere facere. Quod si debet facere quod facit, verum dicit. Si autem non debet, mentitur.

D. Quamvis mihi videar intelligere, tamen quia mihi inauditum hactenus fuit, apertius ostende quod dicis.

M. Si esses in loco, ubi scires esse salubres herbas et mortiferas, sed nescires eas discernere; et esset ibi aliquis, de quo non dubitares quia illas discernere sciret, tibi quae interroganti, quae salubres essent et quae mortiferae, alias verbo diceret salubres esse et alias comederet: cui magis crederes, verbo an actioni eius?

D. Non tantum crederem verbo quantum operi.

ყოველი ქმედება ჭეშმარიტს ან მცდარს
გვაუწყებს

მაგრამ დაუბრუნდეთ უწყების ჭეშმარიტებას, რითაც იმიტომ დავიწყე, უფრო ნაცნობიდან უცნობამდე რომ მიმეყვანე. ხომ ყველა ლაპარაკობს უწყების ჭეშმარიტებაზე, იმ ჭეშმარიტებას კი, რომელიც საგანთა არსშია, ცოტანი მოიაზრებენ.

მოწაფე: სასარგებლო იყო ჩემთვის, ამ გზით რომ მატარე.

მასწავლებელი: მაშ, ჩვენ ვხედავთ, თუ რაოდენ ვრცელია უწყების ჭეშმარიტება. მართლაცდა, მართლ იმაში კი არ არის უწყება ჭეშმარიტი ან მცდარი, რასაც ჩვეულებრივ ნიშნებს ვუწოდებთ, არამედ ყოველივე დანარჩენში, რაზედაც ვილაპარაკეთ. მართლაცდა, რაკი არავინ იქმს რაიმე სხვას, გარდა იმისა, რისი ქმნაც მართებს, სწორედ იმით, რომ ვილაცა რაღაცას იქმს, ამბობს და გვაუწყებს იმას, რომ მას ამის ქმნა მართებს. თუკი მართებს ქმნა იმისა, რასაც იქმს, მართალს ამბობს: ხოლო, თუ არ მართებს, გვატყუებს.

მოწაფე: მართალია, მგონია, რომ მესმის, მაგრამ მაინც უფრო გასაგებად თქვი, რასაც ამბობ, რამეთუ ეს მე დღემდე არ მსმენია.

მასწავლებელი: ვთქვათ, მოხვდი ისეთ ადგილზე, სადაც იცი, რომ სამკურნალო ბალახიც არის და სასიკვდილოც, მაგრამ არ ძალგიძს მათი განსხვავება, და აღმოჩნდა იქ ვინმე, ვისაც ნამდვილად შეუძლია მათი გარჩევა, შენ კი შეკითხვაზე, თუ რომელია სამკურნალო და რომელი სასიკვდილო, თქმით ერთზე გეტყვის მაცოცხლებელიაო, მეორეს კი შეჭამს: რას უფრო დაუჯერებ, სიტყვას თუ ქმედებას მისას?

მოწაფე: სიტყვას იბდენად არ დაუჯერებ, რამდენადაც საქმეს.

M. Plus ergo tibi diceret, quae salubres essent, opere quam verbo.

D. Ita est.

M. Sic itaque, si nescires non esse mentiendum et mentiretur aliquis coram te: etiam si tibi diceret ipse non se debere mentiri, plus ipse tibi diceret opere se mentiri debere quam verbo non debere. Similiter cum cogitat aliquis aut vult aliquid, si nescires, an deberet id velle sive cogitare: si voluntatem eius et cogitationem videres, significaret tibi ipso opere quia hoc deberet cogitare et velle. Quod si ita deberet, verum diceret. Sin autem, mentiretur. In rerum quoque existentia est similiter vera vel falsa significatio, quoniam eo ipso quia est, dicit se debere esse.

D. Video nunc aperte quod hactenus non animadverti.

M. Progrediamur ad ea quae restant.

D. Praecede et sequar.

მასწავლებელი: გამოდის, ის საქმით უფრო გეტყვის, თუ რომელია სამკურნალო, ვიდრე სიტყვით.

მოწაფე: ასეა.

მასწავლებელი: ასე რომ, თუ არ უწყი, რომ არ მართებს კაცს სიცრუე, და იცრუა მავანმა შენს წინაშე, თავადვე რომც გეუბნებოდეს, არ მმართვესო მოტყუება, უმაღლეს თვით საქმით გამცნობს, რომ მართებს სიცრუე, ვიდრე სიტყვით, რომ არ მართებს. ასევე, როცა ფიქრობს ან სურს ვინმეს რამე, თუ შენ არ უწყი, მართებს თუ არა მას ნდომა ან ფიქრი: ნაბას რომც ხედავდე მისას და ფიქრს, თვით საქმით გიჩვენებდა, რომ მართებს მას ფიქრი და ნდომა. თუკი ასე მართებს, მართალს იტყვის, თუ არა და — ტყუილს. ასევე ჭეშმარიტია უწყება ან მცდარი საგანთა ექსისტენციაშიც, რამეთუ ის¹ სწორედ იმით, რომ არის, ამბობს რომ მართებს ყოფნა.

მოწაფე: ახლა ნამდვილად მესმის ის, რასაც აქამდე არ ვაქცევდი ყურადღებას.

მასწავლებელი: მიემართოთ იმას, რაც დაგერჩა.

მოწაფე: მიწინამძღვრე და მოგყვები.

Capitulum X

De summa veritate

M. Summam autem veritatem non negabis rectitudinem esse.

D. Immo nihil aliud illam possum fateri.

Op. omnia
p. 190

M. Considera quia, cum omnes supradictae rectitudines ideo sint rectitudines, quia illa, in quibus sunt, aut sunt aut faciunt quod debent: summa veritas non ideo est rectitudo, quia debet aliquid. Omnia enim illi debent, ipsa vero nulli quicquam debet; nec ulla ratione est quod est, nisi quia est.

D. Intellego.

M. Vides etiam, quomodo ista rectitudo causa sit omnium aliarum veritatem et rectitudinum, et nihil sit causa illius?

D. Video et animadverto in aliis quasdam esse tantum effecta, quasdam vero esse causas et effecta. Ut cum veritas, quae est in rerum existentia, sit effectum summae veritatis, ipsa quoque causa est veritatis, quae cogitationis est, et eius, quae est in propositione; et istae duae veritates nullius sunt causa veritatis.

M. Bene consideras. Unde iam intelligere potes, quomodo summam veritatem in meo *Monologio* probavi non habere principium vel finem per veritatem orationis. Cum enim dixi ‚quando non fuit verum quia futurum erat aliquid‘, non ita dixi, ac si absque pri-

უზენაესი ჭეშმარიტებისათვის

მასწავლებელი: უზენაესი ჭეშმარიტება რომ სისწორეა, ამას ხომ არ უარყოფ.

მოწაფე: პირიქით, სხვა რამედ არც შემიძლია ის მივიჩნიო.

მასწავლებელი: დაუკვირდი, იმ დროს, როცა ყოველი ხსენებული სისწორე იმით არის სისწორე, რომ ისინი, რაშიც არიან, არიან, ან იქმენ, რაც მართებთ: უზენაესი ჭეშმარიტება სისწორეა არა იმით, რომ მას რაღაც მართებს. მართლაცდა, ყველა დავალებულია მისგან, თავად კი არავისი მართებს რამე; ის არც რაიმე საფუძვლით არის ის, რაც არის, გარდა იმისა, რომ არის.

მოწაფე: მესმის.

მასწავლებელი: ისიც თუ გესმის, რანაირად არის ეს სისწორე ყველა სხვა ჭეშმარიტებისა და სისწორის მიზეზი, და არაფერი — მიზეზი მისი?

მოწაფე: მესმის და ვხედავ, რომ სხვებში ზოგი რამ შედეგია მხოლოდ, ზოგი რამ კი მიზეზიცა და შედეგიც. მაშინ, როცა ჭეშმარიტება, რომელიც საგანთა ექსისტენციაშია, შედეგია უზენაესი ჭეშმარიტებისა, თავად ეს იმ ჭეშმარიტების მიზეზიც არის, რაც აზროვნებაშია, და იმისაც, რაც სიტყვაშია, ეს ორი ჭეშმარიტება კი არავითარი ჭეშმარიტების მიზეზი არ არის.

მასწავლებელი: მართებულად მსჯელობ. ამრიგად, უკვე შეგიძლია გაგება იმისა, თუ როგორ დავასაბუთე ჩემს „მონოლოგიონში“ სიტყვის ჭეშმარიტების საშუალებით, რომ უზენაეს ჭეშმარიტებას არა აქვს დასაბამი ან დასასრული. კერძოდ, როცა ვამბობდი: როდის არ იყო ჭეშმარიტი, მომავლისეული რომ იყო-თქო რაღაც, ამას ისე კი არ ვამბობდი, თითქოს დაუ-

ncipio ista oratio fuisset, quae assereret futurum esse aliquid, aut ista veritas esset Deus; sed quoniam non potest intelligi quando, si oratio ista esset, veritas illi deesset. Ut per hoc, quia non intelligitur, quando ista veritas esse non potuerit, si esset oratio, in qua esse posset, intelligatur illa veritas sine principio fuisse, quae prima causa est huius veritatis. Quippe, veritas orationis non semper posset esse, si eius causa non semper esset. Etenim non est vera oratio, quae dicit futurum esse aliquid, nisi reipsa sit aliquid futurum; neque aliquid est futurum, si non est in summa veritate.

Similiter de illa intelligendum est oratione, quae dicit quia praeteritum est aliquid. Nam si nullo intellectu veritas orationi huic, si facta fuerit, deesse poterit, necesse est, ut eius veritatis, quae summa causa est istius, nullus finis intelligi possit. Idcirco namque vere dicitur praeteritum esse aliquid, quia ita est in re; et ideo est aliquid praeteritum, quia sic est in summa veritate.

Quapropter si numquam potuit non esse verum futurum esse aliquid, et numquam poterit non esse verum praeteritum esse aliquid: impossibile est principium summae veritatis fuisse aut finem futurum esse.

D. Nihil tuae rationi obici posse video.

საბამო ყოფილიყო ეს სიტყვა, რომელიც ამტკიცებს, რომ მომავლისეული იქნებოდა რაღაც, ან, რომ ეს ჭეშმარიტება ღმერთი იქნებოდა, არამედ იმიტომ, რომ შეუძლებელია მოვიაზროთ, თუკი ეს სიტყვა იარსებებდა, როდის არ ექნებოდა მას ჭეშმარიტება. ამრიგად, იმის გამო, რომ შეუძლებელია გაგება, თუ როდის არ შეეძლო ამ ჭეშმარიტებას არსებობა, თუკი იარსებებდა სიტყვა, რომელშიც მას შეეძლო ყოფნა, გასაგები ხდება, რომ დაუსაბამო ყოფილა ის ჭეშმარიტება, რომელიც პირველმიზეზია ამ ჭეშმარიტებისა. რასაკვირველია, სიტყვის ჭეშმარიტებას არ შეეძლო მუდამ არსებობა, თუ მისი მიზეზი არ იქნებოდა მუდამ. მართლაცდა, ჭეშმარიტი არ არის სიტყვა, რომელიც ამბობს, მომავლისეულიაო რაღაც, თუ სინამდვილეში მომავლისეული არ არის რაღაც; ასევე არ არის მომავლისეული რამე, თუ არ არის უზენაეს ჭეშმარიტებაში.

ასევე უნდა გვესმოდეს ის სიტყვა, რომელიც ამტკიცებს, წარმავალიაო რაღაც. და რაკი ამ სიტყვას, თუკი თქმულია, არანაირი გაგებით არ შეიძლება აკლდეს ჭეშმარიტება, აუცილებელია, რომ იმ ჭეშმარიტების შესახებ, რომელიც უზენაესი მიზეზია ამისა, შეუძლებელი იყოს დასასრულის მოაზრება. აკი ამიტომაც მიიჩნევენ ჭეშმარიტად, წარმავალი რომ არის რაღაც, რადგან ასეა სინამდვილეში; წარმავალი კი იმიტომ არის რაღაც, რომ ასეა უზენაეს ჭეშმარიტებაში.

ამიტომ, თუ არასოდეს იქნებოდა არაჭეშმარიტი, რომ მომავლისეულია რაღაც, და არასოდეს იქნება არაჭეშმარიტი, რომ წარმავალია რაღაც: მაშინ შეუძლებელია უზენაეს ჭეშმარიტებას ჰქონდეს დასაბამი, ან ექნეს მოსალოდნელი დასასრული.

მოწაფე: ჩანს, შენს შეხედულებას ვერაფერს დავუპირისპირებ.

Capitulum XI

Op. omnia
p. 191

De definitione veritatis

M. Redeamus ad veritatis indagacionem, quam incepimus.

D. Totum hoc pertinet ad indagandam veritatem; verumtamen redi ad quod vis.

M. Dic ergo mihi, an tibi videatur esse aliqua alia rectitudo praeter has, quas contemplati sumus.

D. Non alia praeter has, nisi illa, quae est in rebus corporeis, quae multum est aliena ab istis, ut rectitudo virgae.

M. In quo illa tibi videtur differre ab istis?

D. Quia illa visu corporeo cognosci potest, istas rationis capit contemplatio.

M. Nonne rectitudo illa corporum ratione intelligitur praeter subiectum et cognoscitur? Aut si de alicuius corporis absentis linea dubitetur, an recta sit, et monstrari potest, quia in nullam partem flectitur: nonne ratione colligitur, quia rectam illam esse necesse est?

D. Etiam. Sed eadem, quae sic ratione intelligitur, visu sentitur in subiecto. Illae vero non nisi sola mente percipi possunt.

M. Possumus igitur, nisi fallor, definire, quia veritas est rectitudo mente sola perceptibilis.

ჭეშმარიტების განსაზღვრებისათვის

მასწავლებელი: დაუბრუნდეთ ჭეშმარიტების კვლევას, რითაც დავიწყეთ.

მოწაფე: ეს ყველაფერი ჭეშმარიტების კვლევას ეხება; და მაინც, დაუბრუნდი იმას, რაც გსურს.

მასწავლებელი: მაშ, მითხარი, თუ გგონია, რომ არის სხვა რამ სისწორე იმათ გარდა, რაც ჩვენ განვიხილეთ.

მოწაფე: იმათ გარდა სხვა არაფერი, თუ არა ის, რაც სხეულებრივ საგნებშია, და რაც დიდად განსხვავდება მათგან, ეთქვათ, სისწორე ჯოხისა.

მასწავლებელი: რაში ხედავ იმათგან ამის განსხვავებას?

მოწაფე: იმაში, რომ ამის შეცნობა სხეულებრივი ხედვით შეიძლება, ისინი კი გონების განჭვრეტით იწვდომება.

მასწავლებელი: არ შეიძლება განა, სუბიექტს მიღმა [მოცემულ] სხეულთა ამ სისწორეს გონებით რომ ჩავწვდეთ და შევიმეცნოთ? ან, უკეთუ ვეჭვობთ, სწორი თუ არისო ხაზი რომელიმე სხეულისა, რომელიც არ არის [გრძნობადად] მოცემული, წარმოდგენა კი შეგვიძლია იმისა, რომ ის არსად არ არის გაღუნული: არ შეიძლება განა, გონებით მოვიაზროთ, რომ ის უცილობლად სწორია?

მოწაფე: რასაკვირველია, მაგრამ იგივე, რაც გონებით ასე შეიმეცნება, სუბიექტის მიერ ხედვით შეიგრძნობა; იმათი წვდომა კი მხოლოდ გონით არის შესაძლებელი.

მასწავლებელი: მაშ, თუ არ ვცდები, შეგვიძლია განესაზღვროთ, რომ ჭეშმარიტება არის მხოლოდ გონით შეცნობადი სისწორე.

**D. Nullo modo hoc dicentem falli video.
Nempe nec plus nec minus continet ista
definitio veritatis quam expediat, quoniam
nomen rectitudinis dividit eam ab omni re,
quae rectitudo non vocatur; quod vero sola
mente percipi dicitur, separat eam a recti-
tudine visibili.**

მოწაფე: ვხედავ, ამის მთქმელი არაერთარ შემთხვევაში არ შეცდება. მართლაცდა, არც იმაზე მეტს მოიცავს ჭეშმარიტების ეს განსაზღვრება და არც იმაზე ნაკლებს, რაც საჭიროა, რადგან ამ სახელწოდებას — სისწორეს — გამოყოფს ის ყოველი საგნისაგან, რასაც სისწორე არ ეწოდება; ის კი, რომ მხოლოდ გონით შეცნობადი ეწოდება, გამოყოფს მას ხილვადი სისწორისაგან.

Capitulum XII

De iustitiae definitione

Sed quoniam docuisti me omnem veritatem esse rectitudinem, et rectitudo mihi videtur idem esse quod iustitia: iustitiam quoque me doce quid esse intelligam. Videtur namque quia omne quod rectum est esse, iustum etiam est esse; et conversim quia quod iustum est esse, rectum est esse. Iustum enim et rectum videtur ignem calidum esse et unum / quemque hominem diligentem se diligere. Nam si quidquid debet esse, recte et iuste est, nec aliud recte et iuste est, nisi quod debet esse, sicut puto: non potest aliud esse iustitia quam rectitudo. In summa namque et simplici natura, quavis non ideo sit iusta et recta quia debeat aliquid, dubium tamen non est idem esse rectitudinem et iustitiam.

M. Habes igitur definitionem iustitiae, si iustitia non est aliud quam rectitudo. Et quoniam de rectitudine mente sola perceptibili loquimur, invicem sese definiunt veritas et rectitudo et iustitia. Ut qui unam earum noverit et alias nescierit, per notam ad ignotarum scientiam pertingere possit; immo qui noverit unam, alias nescire non possit.

D. Quod ergo? An dicemus lapidem iustum, cum a superioribus inferiora petit, quia hoc facit quod debet, quemadmodum dicimus hominem iustum, cum facit quod debet?

M. Non solemus huiusmodi iustitia

მართებულობის განსაზღვრებისათვის

რაკილა მასწავლე, ყოველი ჭეშმარიტება სისწორე არისო, სისწორე კი, ჩემი აზრით, იგივეა, რაც მართებულობა, ისიც მასწავლე, თუ რას უნდა ვგულისხმობდე მართებულობაში. კერძოდ, ჩანს, რომ ყველაფრის არსებობა, რისი არსებობაც სწორია, მართებულად არის; და პირიქით, რისი არსებობაც მართებულია, მისი არსებობა სწორია. ხომ მართებული და სწორი გვგონია, ცეცხლი რომ ცხელია და ყოველ ადამიანს რომ უყვარს მოყვარე თვისი. ჩემი აზრით, რაკი ყოველივე, რასაც ყოფნა მართებს, სწორია და მართებული, სხვა არაფერია სწორი და მართებული, თუ არა ის, რასაც ყოფნა მართებს, და სხვა არაფერი შეიძლება იყოს მართებულობა, თუ არა სისწორე. მიუხედავად იმისა, რომ უზენაესი და უმარტივესი ბუნება მართებული და სწორია არა იმით, რომ მას რაღაც მართებს, ეჭვს მაინც არ იწვევს, რომ მასში ერთი და იგივეა სისწორე და მართებულობა.

მასწავლებელი: მაშ, გქონია მართებულობის განსაზღვრება, უკეთუ მართებულობა სხვა არაფერია, თუ არა სისწორე. და რაკი სისწორეს ოდენ გონით შეცნობადს ვუწოდებთ, თავადვე განისაზღვრებიან ერთმანეთით ჭეშმარიტება, სისწორე და მართებულობა. ასე რომ, როცა ერთი მათგანი გასაგებია და სხვა გაუგებარი, ნაცნობიდან შესაძლებელია უცნობის ცოდნას მიაღწიო; მეტიც, ვინც ერთი იცის, მას არ ძალუძს სხვების არცოდნა.

მოწაფე: მაშ, როგორ? ქვასაც მართებული ვუწოდოთ, როცა ზევიდან ქვევით მოისწრაფვის, რაკი იმას იქმს, რაც მართებს, და ადამიანსაც, როცა იმას იქმს, რაც მართებს?

მასწავლებელი: ჩვეულებრივ ასეთ მართებულობას

iustum dicere.

D. Cur ergo magis homo iustus quam lapis iustus est, si uterque iuste facit?

M. Tu ipse an non putas facere hominis a facere lapidis aliquo modo differre?

D. Scio quia homo sponte, lapis naturaliter et non sponte facit.

M. Idcirco lapis non dicitur iustus, quia non est iustus, qui facit quod debet, si non vult quod facit.

D. Dicemus ergo iustum esse equum, cum vult pascere, quia volens facit quod debet?

M. Non dixi iustum esse illum, qui facit volens quod debet; sed dixi non esse iustum, qui non facit volens quod debet.

D. Dic ergo quis sit iustus.

M. Quaeris, ut video, definitionem iustitiae, cui laus debetur; sicut contrario eius, scilicet iniustitiae, debetur vituperatio.

D. Illam quaero.

M. Constat, quia illa iustitia non est in ulla natura, quae rectitudinem non agnoscit. Quidquid enim non vult rectitudinem, etiam si eam tenet, non meretur laudari quia tenet rectitudinem. Velle autem illam non valet qui nescit eam.

D. Verum est.

M. Rectitudo igitur, quae tenenti se laudem acquirit, non est nisi in rationali natura, quae sola rectitudinem, de qua loquimur, percipit.

მართებულს არ ვუწოდებთ.

მოწაფე: მაშ, რატომ არის ადამიანი უფრო მართებული, ვიდრე ქვა, თუკი ორივე მართებულად ირჯება?

მასწავლებელი: იქნებ თავად არ გჯერა, ადამიანის ქმედება რაღაცით რომ განსხვავდება ქვის ქმედებისაგან?

მოწაფე: ვიცი, რომ ადამიანი თავისი ნებით ირჯება, ქვა კი ბუნებრივად და არასაკუთარი ნებით.

მასწავლებელი: იმიტომაც არ ეწოდება ქვას მართალი, რომ არ არის მართალი ის, ვინც იქმს, რაც მართებს, თუკი მას არ სურს, რასაც იქმს.

მოწაფე: მაშ, ნუთუ ვიტყვით, მართალიაო ცხენი, როცა სურს ძოვა, რაკი თავისი ნებით იქმს, რაც მართებს?

მასწავლებელი: ის კი არ მითქვამს, მართალია-შეთქი, ვინც თავისი ნებით იქმს, რაც მართებს, არამედ ისა ვთქვი, რომ არ არის მართალი, ვინც თავისი ნებით არ იქმს, რაც მართებს.

მოწაფე: მაშ, თქვი, ვინ არის მართალი?

მასწავლებელი: როგორც ჩანს, შენ იმ მართებულობის განსაზღვრებას იკვლევ, რომელიც ისევე იმსახურებს ქებას, როგორც მისი საპირისპირო მხარე, კერძოდ უმართებულობა, — ძაგებას.

მოწაფე: იმას ვიკვლევ.

მასწავლებელი: დადგენილია, რომ არავითარ ბუნებაში არ არსებობს მართებულობა, რომელიც სისწორეს არ შეიცნობს. და რასაც სისწორე არ სურს, კიდევაც რომ ფლობდეს მას, არ იმსახურებს ქებას იმის გამო, რომ სისწორეს ფლობს. მისი სურვილი კი არ შეუძლია, ვინც მას არ შეიცნობს.

მოწაფე: მართალია.

მასწავლებელი: მაშ, სისწორე, რომელიც მის მფლობელს ქებას შესძენს, არ არსებობს სხვაგან, თუ არა გონიერ ბუნებაში; მხოლოდ ის აღიქვამს სისწორეს, რაზედაც ვსაუბრობთ.

D. Ita sequitur.

M. Ergo quoniam omnis iustitia est rectitudo, nullatenus est iustitia, quae servantem se facit laudabilem, nisi in rationalibus.

D. Non potest aliter esse.

M. Ubi igitur tibi videtur ista iustitia in homine, qui rationalis est?

D. Non est nisi aut in voluntate aut in scientia aut in opere.

M. Quid si quis recte intelligit aut recte operatur, non autem recte velit: laudabit eum quisquam de iustitia?

D. Non.

M. Ergo non est ista iustitia rectitudo scientiae aut rectitudo actionis, sed rectitudo voluntatis.

D. Aut hoc erit aut nihil.

M. Videtur tibi sufficienter esse definita iustitia, quam quaerimus?

D. Tu vide.

M. Quicumque vult quod debet, putas eum recte velle et habere rectitudinem voluntatis?

D. Si quis nesciens vult quod debet, ut cum vult claudere ostium contra illum, qui ipso nesciente vult in domo alium occidere: sive habeat iste sive non habeat aliquam voluntatis rectitudinem, non habet illam, quam quaerimus.

M. Quid dicis de illo, qui scit se debere velle quod vult?

D. Potest contingere, ut intelligens velit

მოწაფე: ასე გამოდის.

მასწავლებელი: მაშ, რაკი ყოველგვარი მართებულობა სისწორეა, მართებულობა, რომელიც მის მფლობელს საქებარს ზღის, სხვაგან არსად არ არის, თუ არა გონიერ არსებებში.

მოწაფე: შეუძლებელია სხვაგვარად მოხდეს.

მასწავლებელი: მაშ, სად გეგულის შენ ეს მართებულობა — ადამიანში, რომელიც გონიერია?

მოწაფე: სხვაგან არსად, თუ არა ნებაში, ცოდნასა ან საქმეში.

მასწავლებელი: და თუ სწორად ესმის ან სწორად ირჯება მავანი, სწორად კი არ სურს: შეაქებენ მას მართებულობის გამო?

მოწაფე: აზა.

მასწავლებელი: მაშ, ეს მართებულობა ცოდნის ან ქმედების სისწორე კი არ არის, არამედ — ნების სისწორე.

მოწაფე: ან ეს არის, ან არაფერი.

მასწავლებელი: რა გგონია, მართებულობა, რასაც ჩვენ ვიკვლევთ, საკმაოდაა განსაზღვრული?

მოწაფე: ეს შენ განსაჯე!

მასწავლებელი: თუკი ის სურს მავანს, რაც მართებს, ზომ არ ფიქრობ, რომ მას სწორად სურს და ნების სისწორე გააჩნია?

მოწაფე: თუკი მავანს გაუცნობიერებლად სურს, რაც მართებს — ვთქვათ, როცა სურს ჩაუკეტოს კარი იმას, ვისაც თავის მხრივ გაუცნობიერებლად სურს მის სახლში ვიღაცის მოკვლა — რომც ჰქონდეს მას რაიმე ნების სისწორე, ის მაინც არ ექნება, რასაც ვიკვლევთ.

მასწავლებელი: იმის თაობაზე რაღას იტყვი, ვინც უწყის, რომ იმისი სურვილი მართებს, რაც სურს.

მოწაფე: შესაძლოა ასეც მოხდეს: ცოდნით იცოდეს, რომ სურს, რაც მართებს, და არ სურდეს, რომ ეს

quod debet, et nolit se debere. Nam cum latro cogitur ablatam reddere pecuniam, palam est quia non vult se debere, quoniam ideo cogitur velle reddere, quia debet. Sed hic nullatenus laudandus est hac rectitudine.

M. Qui cibatur pauperem esurientem propter inanem gloriam, vult se debere velle quod vult. Idcirco namque laudatur, quia vult facere quod debet. Quid itaque de isto iudicas?

D. Non est huius rectitudo laudanda, et ideo non sufficit ad iustitiam, quam quaerimus. Sed ostende iam, quae sufficiat.

M. Omnis voluntas sicut vult aliquid, ita vult propter aliquid. Nam / quemadmodum considerandum est quid velit, sic videndum est, cur velit. Quippe non magis recta debet esse volendo quod debet, quam volendo propter quod debet. Quapropter omnis voluntas habet quid et cur. Omnino namque nihil volumus, nisi sit cur velimus.

D. Omnes hoc in nobis cognoscimus.

M. Cur autem tibi videtur volendum unicuique quod vult, ut laudabilem habeat voluntatem? Quid enim volendum sit palam est; quoniam qui non vult quod debet, non est iustus.

D. Nec minus apertum mihi videtur quia, sicut volendum est unicuique quod debet, ita volendum est ideo, quia debet, ut iusta sit eius voluntas.

M. Bene intelligis haec duo esse necessaria voluntari ad iustitiam: velle scilicet quod debet, ac ideo quia debet.

მართებდეს. ვთქვათ, თუ აიძულებენ ყაჩაღს წართმეული ფული დააბრუნოს, ცხადია, რომ არ სურს ეს მართებდეს, რამეთუ იმიტომ აიძულებენ, რომ სურდეს დაბრუნება, რაკი მართებს. მაგრამ ეს სისწორე არავითარ შემთხვევაში არ იქნება საქებარი.

მასწავლებელი: ვინც მშვიერ ლატაკს აპურებს ამოღიდების გამო, ის სურს მართებდეს, რომ სურდეს, რაც სურს. სწორედ იმიტომ შეაქებენ მას, იმის ქმნა რომ სურს, რაც მართებს. მაშ, ამაზე რაღას იტყვოდი?

მოწაფე: საქებარი არ არის სისწორე მისი და ამდენად, არ კმარა ის იმ მართებულობისათვის, რასაც ვიკვლევთ. ახლა კი მიჩვენე, რაც იკმარებდა.

მასწავლებელი: ყოველ ნებას, გარდა იმისა, რომ რაღაც სურს, რაღაცის გამოც სურს. კერძოდ, რაკი უნდა მოვიაზრებდეთ იმას, რაც სურს, ისიც უნდა დაეინახოთ, თუ რატომ სურს. მართლაცდა, ისევე სწორი უნდა იყოს ის იმის ნებაში, რაც მართებს, როგორც იმის ნებაში, რის გამოც მართებს. ამიტომ აქვს ყოველ ნებას „რა“ და „რატომ“. აკი სულაც არა გვსურს რამე, თუ არ არსებობს ის საფუძველი, რატომაც გვსურს.

მოწაფე: ყოველივე ამას ჩვენშივე შევიცნობთ.

მასწავლებელი: მაგრამ, რატომ ფიქრობ, რომ ყველას ის უნდა სურდეს, რაც სურს, რათა საქები ნება ჰქონდეს? კერძოდ, რაც სასურველია, აშკარაა, რამეთუ, ვისაც არ სურს, რაც მართებს, არ არის მართალი.

მოწაფე: ჩემთვის არანაკლებ ცხადია ისიც, რომ, რამდენადაც ყველა იმის მოსურნეა, რაც მართებს, ამის ასე მოსურნე იმიტომ არის, რაკი მართებს, რომ მართალი იყოს ნება მისი.

მასწავლებელი: კარგად გესმის, რომ ეს ორი რამ აუცილებელია ნების მართებულობისათვის: კერძოდ, სურვილი იმისა, რაც [მას] მართებს, და სურვილი იმიტომ, რომ მართებს.

Sed dic, an sufficient.

D. Cur non?

M. Cum aliquis vult quod debet, quia cogitur, et ideo cogitur quia hoc velle debet: nonne hic quodam modo vult quod debet, quoniam debet?

D. Non possum negare; sed alio modo iste vult, alio modo iustus.

M. Distingue ipsos modos.

D. Iustus namque, cum vult quod debet, servat voluntatis rectitudinem non propter aliud, in quantum iustus dicendus est, quam propter ipsam rectitudinem. Qui autem non nisi coactus aut extranea mercede conductus vult quod debet: si servare dicendus est rectitudinem, non eam servat propter ipsam, sed propter aliud.

M. Voluntas ergo illa iusta est, quae sui rectitudinem servat propter ipsam rectitudinem.

D. Aut ista aut nulla voluntas iusta est.

M. Iustitia igitur est rectitudo voluntatis propter se servata.

D. Vere haec est definitio iustitiae, quam quaerebam.

M. Vide tamen, ne forte aliquid in ea debeat corrigi.

D. Ego nihil in ea corrigendum esse video.

M. Nec ego. Nulla namque est iustitia, quae non est rectitudo, nec alia quam rectitudo voluntatis iustitia dicitur per se. Dicitur enim rectitudo actionis iustitia, sed non nisi cum iusta voluntate fit actio. Rectitudo autem voluntatis, etiamsi

მაგრამ თქვი, თუ კმარა ეს ამისათვის?¹

მოწაფე: რატომაც არა?

მასწავლებელი: როცა მავანს ის სურს, რაც მართებს, რამეთუ იძულებულია, იძულებული კი იმიტომ არის, რომ მართებს, ეს სურდეს: რალაცნაირად განა ის არ სურს, რაც მართებს, რაკი მართებს?

მოწაფე: არ შემძლია ამის უარყოფა; მაგრამ ამას² სხვაგვარად სურს, მართაღს — სხვაგვარად.

მასწავლებელი: განასხვავე თვით ეს სახეები.

მოწაფე: კერძოდ, მართალი, როცა მას ის სურს, რაც მართებს, რამდენადაც მას³ მართალი ეწოდება, ნების სისწორეს იცავს არა სხვა რამისათვის, არამედ თავად სისწორისათვის, ხოლო, ვისაც მხოლოდ იძულების გამო, ან გარეგანი გასამრჯელოთი წაქეზებულს სურს, რაც მართებს: რომც თქვან, სისწორეს იცავსო, იცავს არა იმისათვის⁴, არამედ სხვა რალაცისათვის.

მასწავლებელი: მაშ, ის ნებაა მართალი, რომელიც თავად სისწორისათვის იცავს სისწორეს თვისას.

მოწაფე: ან ეს ნებაა მართალი, ან არც ერთი.

მასწავლებელი: მაშ, მართებულობა არის თავად მისთვის⁵ დაცული ნების სისწორე.

მოწაფე: ჭეშმარიტად ეს არის მართებულობის განსაზღვრება, რასაც ვიკვლევდი.

მასწავლებელი: მაინც ნახე, ხომ არ უნდა შევიტანოთ მასში რაიმე შესწორება.

მოწაფე: მე ვერაფერს ვხედავ მასში შესასწორებელს.

მასწავლებელი: ვერც მე, ვინაიდან არ არსებობს მართებულობა, რომელიც არ არის სისწორე, არც სხვა რამეს ეწოდება თავისთავად სისწორე, თუ არა ნების მართებულობას. კერძოდ, მართებულობა ეწოდება სისწორეს ქმედებისას, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა მართებული ნებით ხდება ქმედება, ნების სისწორე კი, შეუძლებელი რომც იყოს ქმნა იმისა, რაც სწორად

impossibile sit fieri quod recte volumus: tamen nequaquam nomen amittit iustitiae.

Quod autem ‚servata‘ dicitur, forte dicet aliquis: Si rectitudo voluntatis non nisi cum servatur, dicenda est iustitia: non mox ut habetur est iustitia, nec accipimus iustitiam, cum illam accipimus, sed nos servando facimus eam esse iustitiam. Nam prius illam accipimus et habemus, quam servemus. Non enim ideo illam accipimus nec idcirco illam primitus habemus, quia servamus; sed ideo incipimus illam servare, quia accepimus et habemus.

Sed ad haec nos respondere possumus, quia simul accipimus illam et velle et habere. Non enim illam habemus nisi volendo; et si eam volumus, hoc ipso illam habemus. Sicut autem simul illam habemus et volumus, ita illam simul volumus et servamus; quoniam sicut eam non servamus, nisi cum illam volumus, sic non est, quando eam velimus et non servemus; sed quamdiu eam volumus, servamus, et donec servamus, volumus. Quoniam ergo eodem tempore contingit nobis illam et velle et habere, nec diverso tempore in nobis sunt et velle et servare illam: ex necessitate simul accipimus et habere illam et servare; et sicut quamdiu servamus, habemus illam, ita quamdiu habemus, servamus; nec ulla ex his generatur inconvenientia.

Quippe sicut eiusdem rectitudinis acceptio natura prius est quam habere aut

გვსურს, მაინც სრულებით არ კარგავს მართებულობის სახელს.

იმის გამო კი, „დაცული“ რომ ეწოდება, ალბათ იტყვის მავანი: თუკი ნების სისწორეს მართებულობა მხოლოდ მაშინ ეწოდება, როცა მას იცავენ: მაშინ კი არ არის ის მართებულობა, როცა მას⁶ დაეუფლებიან, ან მაშინ კი არ გვეძლევა მართებულობა, როცა მას⁶ ვიღებთ, არამედ ჩვენ ღაცვით ვიქმთ იმას, რომ ის მართებულობაა. კერძოდ, უფრო ადრე გვეძლევა და გაგვაჩნია ჩვენ ის, ვიდრე მას ღაცივადეთ. მართლაცდა, არც იმიტომ გვეძლევა ის და არც იმიტომ გაგვაჩნია ის პირველად, რაკი ვიცავთ მას, არამედ, იმიტომ ვიწყებთ მის ღაცვას, რაკი მოგვეცა და გაგვაჩნია.

მაგრამ ამაზე შეგვიძლია მივუგოთ, რომ ერთდროულად გვეძლევა ისიც და ნღობაც და ქონებაც მისი. ხომ არ გაგვაჩნია ის, თუ არა სურვილით, და თუ გვსურს, თავად ამით გვაქვს ჩვენ ის. მაგრამ, რაკი ის ერთდროულად გაგვაჩნია და გვსურს კიდეც, ამრიგად, ერთდროულად გვსურს და ვიცავთ კიდეც მას; რაკი მას არ ვიცავთ, თუ არა მაშინ, როცა ის გვსურს, ამდენად ის არ არსებობს, როცა ის გვსურს და არ ვიცავთ; მაგრამ, ვიდრე ის გვსურს, ვიცავთ, და ვიდრე ვიცავთ, გვსურს. მაშ, რაკი ერთდროულად გვიხდება მისი ნღობაც და ქონებაც, სხვადასხვა დროს არ არის ჩვენში მოცემული ნღობა და ღაცვა მისი: აუცილებლად ერთდროულად გვეძლევა მისი ქონებაც და ღაცვაც; და რაკი გაგვაჩნია ის, ვიდრე მას ვიცავთ, ამრიგად, ვიცავთ კიდეც მას, ვიდრე გაგვაჩნია; არც იწვევს ეს რაიმე შეუსაბამობას.

მართლაცდა, რაკი იგივე სისწორის მიღება ბუნებით უფრო ადრე ხდება, ვიდრე მისი ქონება ან ნღობა, — რამეთუ მისი ქონება ან ნღობა კი არ არის მისი მიღების მიზეზი, არამედ მისი მიღება

velle illam – quoniam illam habere aut velle non est causa acceptionis, sed acceptio facit velle illam et habere - ; et tamen simul sunt tempore acceptio et habere et velle – simul enim incipimus illam et accipere et habere et velle, et mox ut est accepta, est habita et volumus eam -: ita habere seu velle illam, quamvis natura prius sint quam servare, simul tamen sunt tempore. Quare a quo simul accipimus et habere et velle et servare voluntatis rectitudinem, ab illo accipimus iustitiam; et mox ut habemus et volumus eandem rectitudinem voluntatis, iustitia dicenda est.

Quod vero addidimus ‚propter se‘, ita necessarium est, ut nullo modo eadem rectitudo nisi propter se servata iustitia sit.

D. Nihil cogitare possum contra.

M. Videtur tibi quod ista definitio possit aptari summae iustitiae, secundum quod de re loqui possumus, de qua nihil aut vix aliquid proprie potest dici?

D. Licet non ibi sit aliud voluntas, aliud rectitudo, tamen sicut dicimus potestatem divinitatis aut divinam potestatem sive potentem divinitatem, cum in divinitate non sit aliud potestas quam divinitas: ita non inconvenienter dicimus ibi rectitudinem voluntatis aut voluntariam rectitudinem seu rectam voluntatem. Si vero illam rectitudinem dicimus propter se servari, de nulla alia rectitudine sic convenienter dici posse videtur. Sicut enim non aliud illam, sed

განაპირობებს მის ნდომას და ქონებას —; და მაინც ერთდროულად ხდება მისი მიღება, ქონება და ნდომა — რამეთუ ერთად გვეძლევა მისი მიღებაც, ქონებაცა და ნდომაც, და მიღებულია თუ არა, ნაქონია და გვსურს ის: — ამრიგად, მისი ქონება ან ნდომა, ბუნებით ისინი⁷ დაცვაზე ადრე რომც ხდებოდნენ, მაინც დროულად ერთად არიან. ამიტომ გვეძლევა მართლებულობა იმისგან, რისგანაც ერთად გვეძლევა ნების სისწორის ქონებაც, ნდომაც და დაცვაც; და იმავე ნების სისწორეს, როცა ის გვაქვს და გვსურს, მაშინვე მართებულობა ეწოდება.

ხოლო, თვით მისთვისო, რომ დაეძინეთ, ასეა საჭირო, რათა ეს სისწორე არავითარ შემთხვევაში არ იყოს მართებულობა, თუ არა მაშინ, როცა მისი დაცვა მისივე გულისთვის⁸ ხდება.

მოწაფე: არაფერი შემძლია ვიფიქრო ამის საწინააღმდეგოდ.

მასწავლებელი: შენ გგონია, რომ ეს განსაზღვრება შესაძლოა მიესადაგოს უზენაეს მართებულობას, რამდენადაც ჩვენ შეგვიძლია ლაპარაკი საგანზე, რომლის თაობაზე საკუთრივ არაფრის ან თითქმის არაფრის თქმა არ შეიძლება?

მოწაფე: თუმცა იქ სხვადასხვა რამეს არ წარმოადგენს ნება და სისწორე, მაინც, რაკი ვლაპარაკობთ ღვთაებრიობის ძალაზე, ან ღვთაებრივ ძალაზე, ანუ ძლიერ ღვთაებრიობაზე, როცა ღვთაებრიობაში არ შეიძლება იყოს სხვა რამ ძალა, თუ არა ღვთაებრიობა: მაშინ შეუფერებლად არ მიგვაჩნია იქ ნების სისწორე, ან ნებელობითი სისწორე თუ სწორი ნება, ხოლო, თუკი იმ სისწორეზე ვამბობთ, მისი დაცვა მისთვის ხდებაო, ჩანს, ამის თქმა არც ერთი სხვა სისწორის მიმართ არ შეიძლება იყოს ასე შესაფერი. და რაკი მას სხვა რამე კი არ იცავს, არამედ თავად იცავს თავის თავს, და არც სხვა რაღაცით არის დაცული,

ipsa se servat, nec per aliud, sed per se: ita non propter aliud quam propter se.

M. Indubitanter igitur possumus dicere quia iustitia est rectitudo voluntatis, quae rectitudo propter se servatur. Et quoniam verbi, quod hic dico ‚servatur‘, non habemus participium passivum praesentis temporis: pro praesenti possumus uti passivo praeterito participio eiusdem verbi.

D. Hunc usum habemus notissimum, ut praeteritis participiis passivis utamur pro praesentibus, quae Latinitas non habet, sicut non habet praeterita participia a verbis activis et neutris; et pro praeteritis, quae non habet, utitur praesentibus, ut si dicam de aliquo: Hic quod studens et legens didicit, non nisi coactus docet. Id est: quod dum studuit et legit didicit, non nisi cum cogitur, docet.

M. Bene igitur diximus iustitiam esse rectitudinem voluntatis servatam propter se, id est quae servatur propter se. Et hinc est quod iusti dicuntur aliquando *recti corde*, id est recti voluntate; aliquando *recti sine adiectione cordis*, quoniam nullus alius intelligitur rectus nisi ille, qui rectam habet voluntatem. Ut est illud: *Gloriamini omnes recti corde. Et: Videbunt recti et laetabuntur.*

Ps 31, 11
Ps 106, 42

D. Satisfecisti etiam pueris de definitione iustitiae; transeamus ad alia.

არამედ თავისი თავით, მაშინ ის სხვა არაფრის გამო არ არის დაცული, თუ არა მისთვის.

მასწავლებელი: მაშ, უეჭველად შეგვიძლია თქმა იმისა, რომ მართებულობა არის სისწორე იმ ნებისა, რომელი ნების დაცვაც მისთვის ხდება. და რაკი „დაცვას“, ზმნას, რომელსაც აქ ვხმარობ, აწმყო დროის ვნებითი გვარის მიმღეობა არა აქვს, აწმყოს მაგივრად ამავე ზმნის ვნებითი გვარის ნამყოს მიმღეობა შეგვიძლია გამოვიყენოთ.

მოწაფე: კარგად არის ცნობილი ასეთი რამ, კერძოდ, ნამყოს ვნებითის მიმღეობას რომ ვიყენებთ აწმყოს მაგივრად, რაც ლათინურ ენას არ გააჩნია, ისევე როგორც არ გააჩნია ნამყოს მოქმედებითი და საშუალო გვარის ზმნათა მიმღეობანი; ნამყოს მაგივრად კი, რომელიც მას არ გააჩნია, გამოვიყენება აწმყო, თუნდაც მაშინ, თუ ვთქვი ვინმეზე: რაც ამან ბეჯითი შრომითა და კითხვით ისწავლა, მხოლოდ იძულებით ასწავლის. ანუ: რაც მან ისწავლა, ვიდრე ბეჯითად შრომობდა და კითხულობდა, მხოლოდ მაშინ ასწავლის, როცა იძულებულია.

მასწავლებელი: მაშ, კარგად გვითქვამს, რომ მართებულობაა სისწორე თვით მისთვის⁹ დაცული ნებისა, რომლის დაცვაც მისთვის¹⁰ ხდება. და ამიტომაც, მართალთ ხან „გულით წრფელნი“, ანუ ნებით მართალნი რომ ეწოდებათ, ხანაც „მართალნი“ დამატების, „გულის“ გარეშე, რადგან სხვას არავის მიჩნევენ წრფელად, თუ არა იმას, ვისაც წრფელი ნება აქვს. აქედან: „იქადოდეთ ყოველნი წრფელნი გულითა“.¹¹ და „იხილონ წრფელთა და იხარებდენ“.¹²

მოწაფე: ბავშვსაც კი დააკმაყოფილებდა მართებულობის ეს განსაზღვრება; გადავიდეთ სხვაზე.

Quod una sit veritas in omnibus veris

Op. omnia
p. 197

M. Redeamus ad rectitudinem seu veritatem, quibus duobus nominibus, quoniam de rectitudine mente sola perceptibili loquimur, una res significatur, quae genus est iustitiae; et quaeramus, an sit una sola veritas/ in omnibus illis, in quibus veritatem dicimus esse, an ita sint veritates plures, sicut plura sunt, in quibus constat esse veritatem.

D. Hoc multum nosse desidero.

M. Constat quia in quacumque re sit veritas, non est aliud quam rectitudo.

D. Non hinc dubito.

M. Si ergo plures sunt veritates secundum plures res, plures quoque sunt rectitudines.

D. Hoc quoque non minus certum est.

M. Si secundum diversitates rerum necesse est esse diversas rectitudines: utique secundum res ipsas habent esse suum eadem rectitudines; et sicut res ipsae, in quibus sunt, variantur, sic quoque rectitudines varias esse necesse est.

D. In una re, in qua rectitudinem esse dicimus, ostende quod in ceteris intelligam.

M. Dico quia, si rectitudo significationis ideo est alia quam voluntatis rectitudo, quia ista in voluntate, illa in significatione est: habet suum esse rectitudo propter significationem et secundum eam mutatur.

ერთი ჭეშმარიტებაა ყოველ ჭეშმარიტში

მასწავლებელი: რაკილა ოდენ გონით შეცნობად სისწორეზე ვსაუბრობთ, დაეუბრუნდეთ სისწორეს ანუ ჭეშმარიტებას, იმ ორ სახელწოდებას, რომლებიც აღნიშნავენ ერთ საგანს, რომელიც მართებულობის სახეობას წარმოადგენს, და გამოვიკვლიოთ, მხოლოდ ერთი ჭეშმარიტებაა ყოველივე იმაში, რაშიც მიგვაჩნია, რომ ჭეშმარიტებაა, თუ ისევე მრავალია ჭეშმარიტება, როგორც ის არის მრავალი, რაშიც ჭეშმარიტების არსებობაა დადგენილი.

მოწაფე: ძალიან მინდა ამის გაგება.

მასწავლებელი: დადგენილია, რომ ჭეშმარიტება, რა საგანშიც უნდა იყოს ის, სხვა არაფერია, თუ არა სისწორე.

მოწაფე: ამაში ეჭვი არ მეპარება.

მასწავლებელი: მაშ, თუ მრავალია ჭეშმარიტება შესაბამისად მრავალი საგნისა, სისწორეც მრავალია.

მოწაფე: ესეც არანაკლებ ცხადია.

მასწავლებელი: თუკი აუცილებელია განსხვავებულ სისწორეთა არსებობა შესაბამისად საგანთა განსხვავებულობისა: ამ სისწორეებს თავიანთი არსებობა გააჩნიათ შესაბამისად თავად საგნებისა და რაკი იცვლებიან თავად საგნები, რომლებშიც ისინი არიან, სხვადასხვა სისწორის არსებობაც აუცილებელია.

მოწაფე: მიჩვენე ერთ საგანში, რომელშიც მიგვაჩნია, რომ სისწორე არსებობს, ის, რასაც დანარჩენ საგნებში შევიმეცნებდი.

მასწავლებელი: მე იმას ვამბობ, რომ თუ უწყების სისწორე იმიტომ განსხვავდება ნების სისწორისაგან, რომ ეს ნებაშია, ის კი უწყებაში, სისწორეს თავისი არსებობა უწყების გამო გააჩნია და იმის¹ შესაბამისად იცვლება.

D. Ita est. Cum enim significatur esse quod est, aut non esse quod non est, recta est significatio, et constat esse rectitudinem, sine qua significatio recta nequit esse. Si vero significetur esse quod non est, vel non esse quod est, aut si nihil omnino significetur: nulla erit rectitudo significationis, quae non nisi in significatione est. Quapropter per significationem habet esse et per eam mutatur eius rectitudo, quemadmodum color per corpus habet esse et non esse. Existente namque corpore colorem eius esse necesse est, et pereunte corpore colorem eius manere impossibile est.

M. Non similiter se habent color ad corpus et rectitudo ad significationem.

D. Ostende dissimilitudinem.

M. Si nullus aliquo significare velit signo quod significandum est: erit ulla per signa significatio?

D. Nulla.

M. An ideo non erit rectum, ut significetur quod significari debet?

D. Non idcirco minus erit rectum, aut minus hoc exigit rectitudo.

M. Ergo non existente significatione non perit rectitudo, qua rectum est et qua exigitur, ut quod significandum est, significetur.

D. Si interisset, non esset hoc rectum, nec ipsa hoc exigeret.

M. Putasne, cum significatur quod significari debet, significationem tunc esse rectam propter hanc et secundum hanc ipsam rectitudinem?

D. Immo non possum aliter putare. Si enim alia rectitudine recta est significatio,

მოწაფე: ასეა, კერძოდ, როცა იუწყებიან, არისო, რაც არის, ან არ არისო, რაც არ არის, სწორია უწყება, და უეჭველია ის, რომ ის სისწორეა, რის გარეშეც უწყებას არ შეუძლია იყოს სწორი. ხოლო, როცა იუწყებიან, არისო, რაც არ არის, ან არ არისო, რაც არის, ან საერთოდ თუ არაფერს არ იუწყებიან: არაკითარი სისწორე უწყებისა, რომელიც მხოლოდ უწყებაშია, არ გვექნება. ამიტომაც აქვს მის² სისწორეს არსებობა უწყების მეოხებით და იცვლება მისი შემწევობით, ისევე, როგორც ფერს გააჩნია სხეულის მეშვეობით არსებობა და არარსებობა. კერძოდ, როცა სხეული არსებობს, მისი ფერის ყოფნაც აუცილებელია, და როცა სხეული ისპობა, მისი ფერის დარჩენაც შეუძლებელი ხდება.

მასწავლებელი: ფერს სხეულთან იმის მსგავსი მიმართება არა აქვს, რაც სისწორეს უწყებასთან.

მოწაფე: მიჩვენე სხვაობა.

მასწავლებელი: თუ არავინ ისურვა რაიმე ნიშნით იმის უწყება, რაც საუწყებელია, მოგვეცემს ნიშნები რაიმე უწყებას?

მოწაფე: არცერთს.

მასწავლებელი: განა იმიტომ არ იქნება სწორი, იმის უწყება რომ ხდება, რაც უწყებულ უნდა იქნეს?

მოწაფე: ამის გამო ის არანაკლებ სწორი იქნება, ან ნაკლებად არ მოითხოვს მას სისწორე.

მასწავლებელი: მაშ, როცა არ არსებობს უწყება, არ ისპობა სისწორე, რომლითაც სწორია და რომლითაც ხდება მოთხოვნა, რომ უწყებულ იქნეს, რაც საუწყებელია.

მოწაფე: თუკი ის³ მოისპობოდა, ეს⁴ არ იქნებოდა სწორი და თავადვე არ მოითხოვდა ამას.

მასწავლებელი: ხომ არ ფიქრობ, რომ, როცა ის იმას გვაუწყებს, რისი უწყებაც მართებს, მაშინ არის უწყება სწორი ამის გამო და თვით ამ სისწორის შესაბამისად?

მოწაფე: პირიქით, სხვაგვარად ფიქრი არ შემიძლია, ვინაიდან, თუ უწყება სწორია სხვა სისწორით, ამის

pereunte ista nihil prohibet rectam esse significationem. Sed nulla est recta significatio, quae significat quod non est rectum significari, aut quod non exigit rectitudo.

M. Nulla igitur significatio est recta alia rectitudine quam illa, quae permanet pereunte significatione.

D. Palam est.

M. An ergo non vides quia non ideo est rectitudo in significatione, quia tunc incipit esse, cum significatur esse quod est, vel non esse quod non est, sed quia significatio tunc fit secundum rectitudinem, quae semper est; nec ob hoc abest a significatione, quia perit, cum non, sicut debet, aut cum nulla sit significatio, sed quoniam tunc significatio deficit a non deficiente rectitudine?

D. Sic video, ut non possim non videre.

M. Rectitudo igitur, qua significatio recta dicitur, non habet esse aut aliquem motum per significationem, quomodocumque ipsa moveatur significatio.

D. Nihil mihi iam clarius.

M. Potesne probare colorem similiter se habere ad corpus, quomodo rectitudo se habet ad significationem?

D. Paratior nunc sum probare quia valde dissimiliter.

M. Puto quia iam tibi notum est, quid de voluntate et eius rectitudine et de aliis, quae rectitudinem debent, sentiendum sit.

D. Omnino video hac ipsa ratione probari, quoquo modo ipsa sint, rectitudinem immutabilem permanere.

მოსპობით ხელი არ ეშლება იმას, რომ სწორი იყოს უწყება. მაგრამ არ არსებობს ისეთი სწორი უწყება, რომელიც იუწყება იმას, რისი უწყებაც არ არის სწორი, ან იმას, რასაც სისწორე არ მოითხოვს.

მასწავლებელი: მაშ, არავითარი უწყება არ არის სწორი სხვა სისწორით, თუ არა იმით⁵, რომელიც რჩება, მას შემდეგ, რაც უწყება ისპობა.

მოწაფე: ცხადია.

მასწავლებელი: მაშ, იქნებ ის არ გესმის, რომ სისწორე იმიტომ კი არ არსებობს უწყებაში, რომ მაშინ იწყებს ყოფნას, როცა იუწყება, რომ არის, რაც არის, ან რომ არ არის, რაც არ არის, არამედ იმიტომ, რომ უწყება ამ დროს ხდება იმ სისწორის შესაბამისი, რომელიც მუდამ არსებობს; ის⁶ არც იმიტომ აკლდება უწყებას, რომ ისპობა, როცა არ არსებობს ისეთი უწყება, როგორც საჭიროა, ან როცა არავითარი უწყება არ არსებობს, არამედ იმიტომ, რომ მაშინ სცილდება უწყება ურყევ სისწორეს?

მოწაფე: მესმის ისე, რომ არ ძალმიძს ამის შეუსვენლობა.

მასწავლებელი: მაშ, იმ სისწორეს, რომლითაც უწყებას სწორი ეწოდება, უწყების მიზეზით არსებობა ან სხვა რამ ცვლილება არ გააჩნია, თავად უწყება რაგინდ არ უნდა იცვლებოდეს.

მოწაფე: ჩემთვის ახლა უფრო ცხადი არაფერია.

მასწავლებელი: ხომ არ შეგიძლია დაამტკიცო, რომ ფერი იგივე მიმართებაშია სხეულთან, როგორც სისწორე უწყებასთან?

მოწაფე: ახლა იმის დასამტკიცებლად უფრო ვარ მზად, ის რომ დიდად განსხვავებულ მიმართებაშია მასთან.

მასწავლებელი: ჩემი აზრით, შენტონის უკვე გასაგებია, თუ რას უნდა ფიქრობდე ნების, მისი სისწორისა და ყოველივე იმისა გამო, რასაც სისწორე მართებს.

მოწაფე: კარგად მესმის, თვით ამ საბუთით რომ მტკიცდება, რომ თავად ისინი⁷ რაგვარნიც არ უნდა იყვნენ, სისწორე უცვლელი დარჩება.

M. Quid ergo consequi existimas de ipsis rectitudinibus? Sunt aliae ab invicem, aut est una et eadem omnium rectitudo?

D. Supra concessi quia, si ideo plures sunt rectitudines quoniam plures sunt res, in quibus considerantur: necesse est eas existere et variari secundum res ipsas; quod nequaquam fieri demonstratum est. Quapropter non ideo sunt plures rectitudines, quia plures sunt res, in quibus sunt.

*Op. omnia
p. 199*

M. An habes aliquam aliam rationem, cur tibi plures esse videantur, praeter ipsam rerum pluralitatem?

D. Sicut istam nullam esse cognosco, ita nullam aliam inveniri posse considero.

M. Una igitur et eadem est omnium rectitudo.

D. Sic mihi fateri necesse est.

M. Amplius: Si rectitudo non est in rebus illis, quae debent rectitudinem, nisi cum sunt secundum quod debent, et hoc solum est illis rectas esse: manifestum est earum omnium unam solam esse rectitudinem.

D. Non potest negari.

M. Una igitur est in illis omnibus veritas.

D. Et hoc negari impossibile est. Sed tamen ostende mihi: cur dicimus ‚huius vel illius rei veritatem‘, velut ad distinguendas veritatum differentias, si nullam ab ipsis rebus assumunt diversitatem? Multi namque vix concedent nullam esse differentiam inter

მასწავლებელი: მაშ, შენი აზრით, თვით ამ სისწორეებიდან რა გამომდინარეობს? ერთმანეთისაგან განსხვავებულნი არიან, თუ ყველას სისწორე ერთი და იგივეა?

მოწაფე: ადრე დაგეთანხმე, რომ თუ იმიტომ არის სისწორე მრავალი, რადგან მრავალია საგნები, რომლებშიც ისინი მოიაზრებიან: აუცილებელია, რომ ისინი წარმოიშვან და შეიცვალონ თვით ამ საგნების შესაბამისად; ეს კი დამტკიცებულია, რომ არასოდეს არ მოხდება. აქედან გამომდინარე, სისწორე იმიტომ არ არის მრავალი, რაკი მრავალია საგანი, რომლებშიც ისინი არიან.

მასწავლებელი: მრავალი რამის არსებობას რომ ხელდავ, იქნებ გაქვს სხვა რაიმე საფუძველი ამისა თავად საგანთა სიმრავლის გარდა?

მოწაფე: შეეცანი, რომ არაფერი, და ჩემი აზრით, სხვა არც შეიძლება მოინახოს რამე.

მასწავლებელი: მაშ, ყველაფრის ჭეშმარიტება ერთი და იგივეა.

მოწაფე: აუცილებელია, რომ ეს ასე ვაღიარო.

მასწავლებელი: შემდეგ: თუ მხოლოდ მაშინ არის სისწორე იმ საგნებში, რომელთაც სისწორე მართებთ, როცა არიან იმის მიხედვით, რაც მართებთ, და მხოლოდ ეს არის მათი სწორად ყოფნა: ცხადია, რომ ყოველი მათგანის სისწორე მხოლოდ ერთია.

მოწაფე: ამის უარყოფა შეუძლებელია.

მასწავლებელი: მაშ, ერთი ჭეშმარიტებაა ყოველ მათგანში.

მოწაფე: ამის უარყოფაც შეუძლებელია. მაგრამ მაინც განმარტე: რატომ ვხმარობთ „ამა თუ იმ საგნის ჭეშმარიტებას“ თითქოსდა ჭეშმარიტებათა სხვაობების გასამიჯნავად, თუკი ისინი ამ საგნებიდან არ იღებენ სხვაობას? ბევრი, ალბათ, არც კი დაეთანხმება იმას, რომ არავითარი სხვაობა არ არსებობს ნების ჭეშ-

veritatem voluntatis et eam, quae dicitur actionis, aut alicuius aliorum.

M. Improprie ,huius vel illius rei' esse dicitur, quoniam illa non in ipsis rebus aut ex ipsis aut per ipsas, in quibus esse dicitur, habet suum esse. Sed cum res ipsae secundum illam sunt, quae semper praesto est iis, quae sunt sicut debent: tunc dicitur ,huius vel illius rei veritas', ut veritas voluntatis, actionis, quemadmodum dicitur, ,tempus huius vel illius rei', cum unum et idem sit tempus omnium, quae in eodem tempore simul sunt; et si non esset haec vel illa res, non minus esset idem tempus. Non enim ideo dicitur ,tempus huius vel illius rei', quia tempus est in ipsis rebus, sed quia ipsae sunt in tempore. Et sicut tempus per se consideratum non dicitur tempus alicuius, sed cum res, quae in illo sunt, consideramus, dicimus ,tempus huius vel illius rei': ita summa veritas per se subsistens nullius rei est; sed cum aliquid secundum illam est, tunc eius dicitur veritas vel rectitudo.

მარიტებასა და იმას შორის, რასაც ქმედების ან სხვა რამ საგანთა ჭეშმარიტება ეწოდება.

მასწავლებელი: „ამა თუ იმ საგნის“ ჭეშმარიტების არსებობას არასაკუთრივი მნიშვნელობით ხმარობენ, რადგან მას თავისი არსებობა არ გააჩნია არც თავად საგნებში, არც მათგან, არც მათი მეოხებით, რაშიც მათ არსებობას აღიარებენ. მაგრამ, როცა თავად საგნები არიან შესაბამისნი იმისა, რაც პუდამ თანადროულია მათი, და რომლებიც ისეთნი არიან, როგორნიც უნდა იყონ: მაშინ ითქმის „ამა თუ იმ საგნის ჭეშმარიტება“, ვითარცა ნების, ქმედების ჭეშმარიტება, ითქმის ისევე, როგორც „დრო ამა თუ იმ საგნისა“, იმ დროს, როცა ერთი და იგივეა დრო ყველაფრისა, რაც თანადროულია ერთსა და იმავე დროში; და თუ არ იქნება ესა თუ ის საგანი, ნაკლებად როდი იქნება იგივე დრო. იმიტომ კი არ ითქმის „დრო ამა თუ იმ საგნისა“, რომ დროა თავად საგნებში, არამედ იმიტომ, რომ თავად ისინი არიან დროში. და როგორც თავისთავად გააზრებულ დროზე არ ითქმის რისამე დრო, არამედ მხოლოდ მაშინ ვხმარობთ „ამა თუ იმ საგნის დროს“, როცა მოვიაზრებთ საგნებს, რომლებიც მასში არიან, თავისთავად არსებული უზენაესი ჭეშმარიტებაც არც ერთ საგანს არ განეკუთვნება; მაგრამ მაშინ, როცა რამეა მისი შესაბამისი, მას მისი ჭეშმარიტება ან სისწორე ეწოდება.

კომენტარები

წინათქმა

1. იგულისხმება: ნების, არჩევანის თავისუფლება
2. იოვანე, 8, 44 (იხ. აკ. შანიძის გამოცემა — „ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია“, თბ., 1945).

თავი I

1. იოვანე, 14, 6: „მე ვარ გზად და ჭეშმარიტებამ და ცხორებამ... (იხ. აკ. შანიძის დასახელებული გამოცემა).

თავი II

1. იგულისხმება: სისწორე და ჭეშმარიტება გამოთქმისა, როცა ის იმას იუწყება, რისი უწყებაც იტვირთა.
2. იგულისხმება: სისწორე და ჭეშმარიტება გამოთქმისა, როცა ის იმას იუწყება, რის საუწყებლადაც არის შექმნილი.
3. მტკიცება იმისა, რომ ადამიანი სულიერი არსებაა.
4. უარყოფა იმისა, რომ ადამიანი ქვა არის.
5. მტკიცება იმისა, რომ ადამიანი სულიერი არსებაა.
6. უარყოფა იმისა, რომ ადამიანი ქვა არის.

თავი IV

1. იოვანე, 8, 44 (იხ. აკ. შანიძის დასახელებული გამოცემა).

თავი V

1. იოვანე, 3, 20: „რომელი იქმნ ბოროტსა, სძულნ (ჰსძულნ მას) ნათელი“ (იხ. აკ. შანიძის დასახელებული გამოცემა).

2. იოვანე, 3, 21: „რომელი ჰყოფნ (იქმნ) ჭეშმარიტებასა (ჭეშმარიტსა), მოვიდის ნათლად /ნათელსა/“ (იხ. აკ. შანიძის დასახელებული გამოცემა).

3. იგულისხმება: ქმედებაში

4. მათე, 5, 10: „ნეტარ იყვნენ დევნულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათად“ (იხ. აკ. შანიძის დასახელებული გამოცემა).

5. II კორ., 5, 10: „რამეთუ ჩუენ ყოველნი განცხადებად ვართ წინაშე საყდართა ქრისტესთა /ქრისტეშთა, რადთა მოილოს კაცად-კაცმან ჳორცთა მათგან /ამათგან/, რადცა იგი ქმნა, გინა თუ კეთილი, გინა თუ ბოროტი“ (იხ. ქეთ. ძოწენიძისა და კორნ. დანელიას გამოცემა — „პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები“, თბ., 1974).

6. იხ. აქვე, მე-5 თავის მე-2 შენიშვნა.

7. იოვანე, 8, 44 (იხ. აკ. შანიძის დასახელებული გამოცემა).

8. სიტყვისაგან

9. იხ. თავი II.

10. გათბობა

თავი VI

1. იგ.: ხსენებული სხეული
2. იგ.: მხედველობა
3. იგ.: ჰაერისფერი მინა
4. იგ.: შეგრძნებანი

თავი VIII

1. სიყვარული

თავი IX

1. უწყება

თავი XII

1. ნების მართებულებისათვის
2. იმას,ვისაც იძულებით სურს ის,რაც მართებს.
3. მართალს
4. ნების სისწორისათვის
5. თავად სისწორისათვის
6. ნების სისწორეს
7. ქონება ან ნდომა
8. სისწორისათვის (იხ. თავი XII, მე-4 შენიშვნა).
9. სისწორისათვის
10. სისწორისათვის
11. ფსალმუნი, 31,11: „იხარებდით მართალნი (მართალნი) უფლისა მიმართ, იშუებდით და მისგან იქადოდეთ ყოველნი წრფელნი გულითა. // იხარებდით უფლისა მიმართ და იშუებდით, მართალნი, და იქადოდეთ ყოველნი წრფელნი გულითა“ (იხ. მზ. შანიძის გამოცემა – „ფსალმუნის ძველი ქართული

რედაქციები“, თბ., 1960 წ.).

12. ფსალმუნი, 106, 42: „იხილონ წრფელთა, იხარებდენ, და ყოველთა უსჯულოთა დაეყოს პირი მათი. // იხილონ წრფელთა და იხარებდენ, და ყოველმან უსჯულობამან დაიყოს პირი თუცი (იხ. მზ. შანიძის დასახელებული გამოცემა).

თავი XIII

1. უწყების
2. უწყების
3. სისწორე
4. უწყება
5. იმ სისწორით
6. სისწორე
7. ყოველივე, რასაც სისწორე მართებს.

შენიშვნებისათვის

კომპ. უზრუნველყოფა
გარეკანის დიზაინი

თამარ სტიფნაძე
დავით გოგლიძე

ტირაჟი 300



Publishing House
Carpe diem

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანში“,

აღ. ყაზბეგის გამზ. №45

E – mail: info@meridianpub.com ტ. 239-15-22